ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
- გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 4 (1339)

5-11 თებერვალი, 1993 წ.

მორცხვი ომი

ომის სხვადასხვაგვარი განსაზღვრება მსმენია — სისხლისმღვრელი და უსისხლო, გინა თუ ცივი ომი.

სამამულო თუ დაპყრობითი, ანუ სამართლიანი და უსამართლო ომი. ხანმოკლე თუ ხანგრძლივი;

ლოკალური თუ ტოტალური;

ძმათა ომი; სამოქალაქო ომი და ვინ იცის, როგორი ომი აღარ უწარმოებია კაცთა მოდგმას ერთმანეთის საქლეტ-საქუქად.

მაგრამ რა ჰქვია ომს, რომელიც აფხაზეთში მიმდინარეობს?

შინაარსით ქართველთა მხრიდან ეს არის სამამულო, სამართლიანი ომი, თუ რატომ, რომელ ქართველსაც ამის ახსნა სჭირდება, ის ან თავიდანაა გასაზრდელი ან საერთოდ არ უნდა გაზრდილიყო...

მაგრამ ფორმით, ანუ ომის გარეგნული სახის მიხედვით, აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლებს, უფრო ზუსტად ქართველთა მხარის ქმედებას, დღემდე არსებული ომების არცერთი განსაზღვრება არ მიესადაგება...

აქამომდე რაც ხდებოდა, ომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი მებრძოლების მდგომარეობა წარმოგვიდგება ასე:

დგანან პოზიციებზე გაყინულ-გათოშილი, ლანჩებგამორღვეული და თითქმის შიშველტიტველი ბიჭები და იბრძვიან გმირულად.

იბრძვიან ზემოდან წამოსული მითითების ფონზე:

— არცერთი ნაბიჯი უკან!

— არცერთი ნაბიჯი წინ!

მტერი კი მოდის და მოდის.

თუ დასჭირდა, სოხუმს ბომბავს, თუ დასჭირდა ტაიმაუტს გვთავაზობს.

ერთი სიტყვით, იქცევა ისე, როგორც ომში იქცევიან.

ჩვენ კი ისე ვირჯებით, როგორც ომში არ ირჯებიან...

გუდაუთის დაბომბვა ჩვენთვის წარმოუდგენელია, როგორც ბარბაროსული აქტი... მათგან სოხუმის აოხრებას კი უკვე ჩვეულებრივად ვუყურებთ.

რა ჰქვია ასეთ ომს?

ერთი წყება ხალხის აზრით ამას ჰქვია გაყიდული ომი. რისიც მე არ მჯერა. არ მსურს მჯეროდეს...

მეორე წყება ადამიანები ფიქრობენ, 3 სექტემბერს რომ მოგვაღორეს, გაგრაში რომ გაგვეჟუჟეს, ეს კი იყო ფიზიკური მარცხი, მაგრამ, სამაგიეროდ, მსოფლიოს თვალში მოვიგეთ პოლიტიკურად. მტერს ვუსურვებ ასეთ მოგებას...

არადა, რა ჰქვია ბოლოსდაბოლოს იმას, რაც აფხაზეთში ხდება?

ომის არცერთი განსაზღვრება, „ტრაფარეტული“, დღემდე არსებული განსაზღვრება ჩვენს ქმედებას არ მიესადაგება, ამიტომ ახალი განსაზღვრება მოვიგონე — მორცხვი.

დიახ, საქართველოს მთავრობა უკუღმართად გაგებული საერთაშორისო სამართლის ხათრით თუ რუსების შიშით, აფხაზეთში ეწევა მორცხვ ომს.

მტერი კი ურცხვად. სათითაოდ ხშირავს ჩვენს ბიჭებს.

ისე ურცხვობა ორივ ჩვენთვისაა უცხო, ოღონდ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ...

გარდა საკუთარი ოჯახისა, ეს ქვეყანაც ჩვენია

ანეკდოტით დავიწყებ: გურიაში ფილიპე მახარაძე ჩასულა კოლექტივის შესაქმნელად. სოფლის საერთო კრებაზე მასთან შეზრდილ ერთ გლეხკაცს უკითხავს: ჩამოვაყალიბოთ, ძამა ფილიპია, აი კოლექტივი, მარა რაია კოლექტივი, გაგვაგებიეო.

ფილიპეს კოლექტივის არსი თანასოფლელებისათვის ასე „გაუშიფრავს“...

გენადიეს რომ ინდოური ჰყავს, მოიყვანს და ჩაგვაბარებს, ომარიე თავის გოჭს გამოიმძღვანიებს, ბიკენტი ძროხას გამოიგდებს, ვინ ცხენს მოათოხარიკებს. ვინ ქათამს შემოგვწირავს. დავამწყვდევთ ამათ, ფაქტობრივად ისევ თქვენი იქნება, სახელი კი სახელმწიფოსი ერქმევაო.

ფილიპია, ძამა, — პასუხობს დაეჭვებული გლეხი, — თბილისში საცა კაი ქუჩა და ბაღი ნახეს, შენი სახელი დაარქვეს. მშვენიერი ქალაქი გვქონდა აგერ, — ოზურგეთი, ისიც შენს სახელობაზე გადანათლეს. მე ერთი გაქუცული ინდოური მყავს და, თუ მაინც ჩემი უნდა იყოს, ერქვას ბარემ სახელიც ჩემიო.

მოგეხსენებათ, კოლექტივიც შეიქმნა და სახელმწიფო ქონებაც გამოცხადდა. ყველაფერი ყველასი იყო და, იმავდროულად, არაფერი არავისი. ამ სისტემამ ადამიანი მხოლოდ ქონებრივად კი არა, გონებრივადც გააღატაკა. რაკი მისი სახელი აღარაფერს ერქვა, აღარც პატრონობდა უსახელო ქონებას. ყველაფერი სათანადო ორგანოების საზრუნავი იყო მხოლოდ. საკუთარი ინიციატივით წესრიგს თუ დაიცავდი, ინტრიგანი იყავი. (ეს მილიციის საქმე იყო)...

ეკლესიას თუ გაწმენდდი, რაიკომში დაგიბარებდნენ როგორც საეჭვო პირს (ძეგლთა დაცვის საზოგადოებას რატომ არ შეუთანხმეო). ის კი არა, წყალში რომ კაცი იხრჩობოდა, იმისთვისაც სათანადო ორგანო იყო გამოყოფილი — წყალწაღებულთა თუ უკვე დამხრჩვალთა მაშველი საზოგადოება.

ამიტომ, ათეული წლების მანძილზე საზოგადოებას ძვალ-რბილში გაუჯდა, რაც მისი საქმე არ იყო, იქ ცხვირს არ ჩაჰყოფდა...

ასე იყო თუ ისე, იმ ქვეყანამ ჩაილურის წყალი დალია.

ახლა სხვა დროა. ქონებას ისევ უჩნდება ნამდვილი მეპატრონე. გენადიე დაკარგულ ინდაურს იბრუნებს, ომარიე გოჭს, ბიკენტი ძროხას, მაგრამ დაკარგული ჭკუის უკან დაბრუნება ჭირს.

ეს ფიქრები ერთმა პატარა ტელესიუჟეტმა აღმიძრა.

ამას წინათ, თუ არ ვცდები, „მაცნეში“ გადასცეს: ამა და ამ ქუჩაზე ასეთი და ასეთი მდგომარეობა არის და იქნებ მიხედონ სათანადო ორგანოებმაო. ტელეეკრანზე გამოჩნდა ორი პირდაღებული ჭა. პირდაპირ შუა ქუჩაში ორი იმხელა საკანალიზაციო ორმო აფჩენდა ხახას, რომ გულმშვიდად მიმავალი მძღოლი მანქანიანად გაადენდა შიგ ზღართანს (რაც, კაცმა რომ თქვას, ჩვეულებრივი მოვლენაა)... ფეხით მოსიარულენი კი ბარე დედაწულიანად აღმოჩნდებოდნენ შიგ.

მე არ ვიცი, რომელი უწყება უნდა ვაგინოთ იმ პირდაფჩენილი ჭების გამო, მაგრამ წესიერ საზოგადოებაში გაზრდილი კაცის თვალში რომ ყველანი შერეკილები ვჩანვართ, ამას წყალი არ გაუვა. აბა წარმოიდგინეთ, იმ გზაზე ათასობით მანქანამ ჩაიარა, ათი ათასობით ფეხით მოსიარულემ. ბოლოს ვიღაც მადლიანმა „მოქალაქეობრივი პატიოსნება“ გამოიჩინა და ტელევიზიას დაუკავშირდა — ასეა საქმე და, გვიშველეთო, შესაძლოა პოლიციასა და მთავრობაშიც დარეკა...

ტელევიზიის მუშაკები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მამასისხლად ბენზინი ეშოვეს, ფირიც გაშანსეს. ფათერაკიან ადგილს მიადგნენ, გადაიღეს და მთელ

სახელდახელო ჩანაწერები

ნოდარ ბრიგალაშვილი

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

1993 წლის 27—28 თებერვალს ჩატარდება საქართველოს სახალხო ფრონტის III ყრილობა.

რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარეებმა 1993 წლის 20 თებერვლამდე წარმოადგინონ ყრილობის დელეგატთა სია.

ყრილობამდე ყოველი კვირის პარასკევს პირველ საათზე გაიმართება დარბაზის სხდომები.

საქართველოს სახალხო ფრონტის
საორგანიზაციო განყოფილება

სახელდახელო ჩანაწერები

ნოდარ გრიგალაშვილი

საქართველოს აჩვენეს — იქ, აი, ასეა საქმე და სათანადო ორგანოებმა მიხედონო...

(ახლა გადაცემის მომზადებისათვის გაღებული ჰონორარის ხარჯიც იანგარიშეთ).

არადა, იმ ორი ჭის ორი ხუფი იქვე ეგდო. აიღე, დალოცვილო, მძღოლი ხარ, ფეხოსანი, დამრეკი, ოპერატორი თუ ვინცა ხარ, დაახურე იმ ჭას ხუფი და გათავდება საქმე.

მაგრამ, ასე რომ მოიქცე, ის გზა, სადაც დადიხარ, შენი უნდა გეგონოს. იმ ქვეყანას, სადაც ცხოვრობ: შენად უნდა გრძნობდე, ის ბომბი სოხუმის თავს რომ ეცემა, შენს ჭერს უნდა აზანზარებდეს...

ჩავიხედოთ გულში და ვთქვათ, არის ეს ასე?

თუ ასე არ არის, ვერც პარლამენტი გვიშველის, ვერც „ნატო“ და ვერც „გაერო“.

აღარც კაცი გვიშველის, აღარც ღმერთი გვიშველის...

იქნებ თავისი ქვეყნისადმი საზოგადოების გაგულგრილების საპროტესტოდაც წერდა პოეტი —

„ეს მთა ჩემია, ეს ხე ჩემია
მე ვიმეორებ ყოველ ცისმარე“

ყოველ ცისმარე თუ არა, შიგადაშიგ მაინც გავიხსენოთ, რომ გარდა საკუთარი ოჯახისა, ეს ქვეყანაც ჩვენია...

“ᲨᲘᲜᲛᲝᲣᲡᲕᲚᲔᲚᲘ“ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘ...

საქართველოს სახალხო ფრონტიდან წავიდა (პარლამენტში) და უკან აღარ მობრუნებულა სახალხო ფრონტის რამდენიმე წევრი.

როგორც სათანადო ორგანოებმა საიდუმლოდ გვაუწყეს, ისინი ხანმოკლე ვიზიტით ეწვევიან ფრონტელებს დარბაზის უახლოეს სხდომაზე...

სამი წლის შემდეგ, პარლამენტის მომავალი არჩევნების წინ კი, მათი „ვიზიტები“ სახალხო ფრონტში რეგულარულ ხასიათს მიიღებს...

რაც შეეხება ყოფილ ვიცეპრემიერს პაატა კოღუაშვილს, მას ალბათ დარბაზის სხდომაზე ვიზიტით მოსვლაც გაუჭირდება, რადგან სახალხო ფრონტის წევრთა აზრით იგი არჩევნებამდე ამ ორგანიზაციაში კაკანებდა, არჩევნების შემდეგ კი კვერცხი სხვა პარტიაში დადო.

ასეთი საქციელი გადამდები რომ არ აღმოჩნდეს, ამიერიდან პოლიტიკური პარტიებისა თუ ორგანიზაციების წევრებს წესდებასთან ერთად უნდა დაურიგდეთ აკაკის ლექსი „ღამურა“ (კითხვითა და შინაარსის თხრობით), ხოლო ლექსის ფინალი ყველასათვის სავალდებულოდ საზეპირო მონაკვეთად უნდა ჩაითვალოს...

ᲐᲠᲐᲙᲘ ᲞᲘᲜᲯᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

შეგიძლიათ გამოსაქვეყნებლად მოგვწეროთ იმ სამი სახელმწიფო პირის ვინაობის შესახებ, ყოფილისა თუ დღევანდელის, რომელთაც ამ სიტყვებში იგულისხმებთ:

„თქვა ჯუმბერ არაკი —
სამთა ჰმართებენ გარდახვეწა: ერთსა — თემთაგან პირადღებულსა,
მეორესა — ურჩის ცოლის უგალსა,
მესამესა — პატრონისა ორგულსა...“

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐ?

დეკემბერ-იანვრის ტრაგედიასთან დაკავშირებით ახლა ხშირად მსჯელობენ, რა მოხდა, დემოკრატიული რევოლუცია, სახალხო აჯანყება თუ სამხედრო გადატრიალება?

ასეთივე მსჯელობის საგნად იყო ქცეული 1917 წლის თებერვალში დატრიალებული მოვლენების არსი.

საბჭოური ისტორიოგრაფია გვიმტკიცებდა, რომ რუსეთის მთელ იმპერიაში და, კერძოდ, საქართველოშიც, 1917 წელს მოხდა რევოლუცია.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ტიციან ტაბიძე მოსწრებულად წერდა:

1917 წლის რევოლუცია საქართველოს ფოსტით ეცნობაო...

განსხვავება იმაშია, რომ 1991—1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახალხო აჯანყების შესახებ „აჯანყებულ“ ქართველ ხალხს ფოსტის ნაცვლად ტელევიზიით ეცნობა, რომ თქვენ აჯანყებულები ხართ და დემოკრატიული რევოლუცია უკვე მომხდარიაო.

გაოგნებული „მოჯანყენი“ და „რევოლუციონერები“ დღემდე მსჯელობენ — რა მოხდა დეკემბერ-იანვრის დღეებში?...

ᲨᲐᲠᲛ, ᲡᲐᲡᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲮᲐᲠ?

„იბერია-სპექტრში“ წავიკითხე:

— ზუგდიდში მიტინგი ჩაუტარებიათ და საზოგადოება „სამეგრელოს“ დაარსების ინიციატორები ერის მოღალატეებად გამოუცხადებიათ იმ მოტივით, რომ ამ საზოგადოების წარმომადგენლებს თურმე საქართველოს დაყოფა და დაქუცმაცება სურთ. გარდა ამისა, მიტინგის მონაწილეთა აზრით საზოგადოების დაარსების ინიციატორები წითელი ინტელიგენციის საძულველი წარმომადგენლები არიან.

ამ ბრალდებას პასუხი გასცეს იმავე გაზეთში. რედაქციას კი ისეთი მინაწერი გაუკეთებია, რომ აშკარად გამოჩნდა, რედაქციისა და მიტინგის მონაწილეთა აზრი საზოგადოება „სამეგრელოს“ შესახებ დიდად არ სცილდება ერთმანეთს.

რაკი საზოგადოება „სამეგრელოს“ დაფუძნების ინიციატორთა შორის პრესაში ჩემი გვარიც იხსენიებოდა, გამოდის, რომ სხვებთან ერთად მეც ერის მოღალატად და წითელი ინტელიგენციის წარმომადგენლად მთვლიან.

არ ვიცი, რატომ გაუჩუმდნენ ამ ბრალდებას სხვები, მე კი გაზეთის რედაქტორ ბატონ ირაკლი გოცირიძესთან პატარა შეკამათება მომიწევს.

ბატონო ირაკლი, ცრუ ინფორმაციით აღელვებული ადამიანები როცა ამა თუ იმ განცხადებას გაწვდიან, თქვენი „მშვიდობისმოყვარე“ პოლიტიკა სიმართლის დადგენას უნდა ემსახურებოდეს თუ გათიშული და იდეურად ერთურთზე გადამტერებული საზოგადოების კიდევ უფრო წაქეზებას?

ამ საქმეში ჩემი „დანაშაული“ ასეთი გახლავთ: პოეტმა ვახტანგ ხარჩილავამ დამირეკა და მთხოვა, როგორც აწიოკებული და დარბეული სამეგრელოს გულშემატკივარს თანხმობა განმეცხადებინა საზოგადოება „სამეგრელოს“ წევრობაზე. სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან, მიმაჩნია, რომ სამეგრელოს სატკივარი მხოლოდ მეგრელებს არ ეხებათ. სამეგრელო ისევეა ჩემი სამშობლო, ჩემი კუთხე, როგორც თითოეული ზუგდიდელისა თუ წალენჯიხელისათვის.

იქნებ ეს ლიტონი განცხადებაა?

გაზეთმა „საქართველომ“ პირველმა აღიმაღლა ხმა იმ დამსჯელი ექსპედიციების წინააღმდეგ, სამეგრელოში რომ გაიგზავნა.

იქნებ ამიხსნათ, რატომ ვარ ერის მოღალატე?

საზოგადოებები კუთხეების მიხედვით არ უნდა იქმნებოდესო, — ბრძანებს თქვენი გაზეთი. დაგეთანხმებოდით, გულწრფელნი რომ იყოთ, მაგრამ გაზეთის იმ ხოძერში, სადაც საზოგადოება „სამეგრელოს“ გმობთ, ფართო რეკლამირებას უკეთებთ საზოგადოება „ჭყონდიდელს“... ხომ არ არის ეს პოლიტიკური ვირეშმაკობა?

ჩემი „მოღალატური“ აზრი ასეთი გახლავთ, არაფერია საგანგაშო იმაში, თუ ამა თუ იმ კუთხის შვილები ერთად შეიყრებიან და თავიანთ კუთხეს რაიმეში წაადგებიან, „სამეგრელო“ იქნება ეს, „ჭყონდიდელი“, „რაჭა“, „სვანეთი“ თუ სხვა. საგანგაშო ისაა, როცა კუთხური ორგანიზაცია პოლიტიკურ ორგანიზაციად ფორმდება, საგანგაშოცაა და იმავდროულად ანეკდოტურიც.

ახლა რაც შეეხება წითელი ინტელიგენციის წევრობას.

ან უნდა დაგესახელებინათ, ბატონო ირაკლი, „წითელი ინტელიგენციის“ წარმომადგენლები, ან ყველა ერთი არშინით არ უნდა გაგეზომეთ. პირადად ჩემთვის, განცხადების ეს ფრაზა შეურაცხმყოფელი იყო. ვცდილობ, როგორც კოლეგას, უფროსსა და ნიჭიერ ჟურნალისტს, ამასთანავე ტრაგიკულ პიროვნებას, მოგერიდოთ, მაგრამ თუ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში არ აღიარებთ, რომ ჩემი კეთილი ნება ერის ღალატად არ უნდა მოგენათლათ და „წითელ“ ინტელიგენტობასთან დაკავშირებით არ მომიბოდიშებთ, იძულებული გავხდები მკითხველს დეტალურად ვაუწყო, რომელ გაზეთს ჰყავს კრემლის მაღალ ჩინებთან სულ ახლახან ჩახუტებული, ჭეშმარიტად წითელი ინტელიგენტი რედაქტორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალ საქართველოსთან ერთად შობილი

თბილისის უნივერსიტეტი რომ 1917 წლის თებერვლამდე დაარსებულიყო, იგი პროვინციული რუსული უნივერსიტეტი იქნებოდა. თბილისის უნივერსიტეტი რომ 1921 წლის თებერვლის შემდეგ დაარსებულიყო,იგი ჩვეულებრივი საბჭოთა უნივერსიტეტი იქნებოდა, ისეთივე, სოკოებივით რომ მომრავლდა საბჭოთა იმპერიაში. თბილისის უნივერსიტეტი რომ ქართული ყოფილიყო, იგი თავისუფალ საქართველოში უნდა შობილიყო.

1918—1920 წლებში თბილისის უნივერსიტეტი ისე საფუძვლიანად დამკვიდრდა ეროვნულ ნიადაგზე, ქართველოლოგიური კვლევა ისეთი დიდი ენთუზიაზმითა და გონივრულად მოფიქრებული გეგმით დაიწყო, რომ 20-იან წლებში დაწყებულმა უნივერსიტეტის დარბევამ, ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების დევნამაც ვეღარ ჩაკლა ეროვნული სული მის კედლებში.

მიმდინარე წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) სრულდება 75 წელი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან. დღეს მკითხველს ვთავაზობთ მასალას, რომელიც ერთხელ კიდევ გაგვახსენებს იმ მღელვარე ეპოქას, როცა თავისუფალ საქართველოსთან ერთად იშვა ქართული უნივერსიტეტი.

* * *

ქართული უნივერსიტეტის გახსნა

დღეს, იანვრის 26 ქართული გიმნაზიის შენობაში (წყნეთის ქ. №51) გაიხსნება ქართული უნივერსიტეტი. ვინაიდან დღეს დავთა აღმაშენებლის დღეობა არის და გიმნაზიის ეკლესიაც მის სახელობაზეა აგებული, ამისათვის ეკლესიაში საკათალიკოსო წირვა იქნება შესრულებული და ეკლესიაშივე გადახდილ იქნება პარაკლისი. უნივერსიტეტი გაიხსნება პირველ საათზე უნივერსიტეტის დარბაზში შემდეგი წესით: უნივესიტეტს გახსნილად გამოაცხადებს ქართულ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ა.ჩხენკელი; შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამენ: 1) უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, 2) უნივერსიტეტის რექტორი და 3) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი. მოწვეულნი არიან სხვადასხვა საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

გაზ. „საქართველო, 1918, №21.

* * *

ქართული უნივერსიტეტის გახსნა

იანვრის 26, საათის პირველზე დიდი ზეიმით გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი. აუარებელ საზოგადოებას ვერ იტევდა ქართული გიმნაზიის შენობის კედლები. გახსნის წინ საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსის მიერ შესრულებულ იქნა საღმრთო წირვა, ხოლო წირვის შემდეგ თბილელმა მიტროპოლიტ-გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი, შემდეგ ეროვნულ საბჭოს დავალებით უნივერსიტეტი გახსნა ა. ჩხენკელმა. მას მხარს უმშვენებდნენ ერთის მხრით უნივერსიტეტის რექტორი პროფ. მელიქიშვილი, დეკანი პროფ. ივ. ჯავახიშვილი და მთელი პლეადა ახალგაზრდა პროფესორ-დოცენტები.

აკაკი ჩხენკელმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. კილო მისი ამ საზეიმო სხდომაზე, მართალია, არ იყო საზეიმო, მაგრამ მაინც წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებდა მსმენელზე. აქ არ იყო რაიმე იმაზე ფასიანი ეფექტის გამომწვევი ილუმინაცია, არამედ ცივი, მომენტის ღრმად შეგნებულ ადამიანის სიტყვა, რომელსაც თვრ ჩირაღდნის აგზნება თუ ერთის მხრით ახარებს, ატკბობს, მეორე მხით, საკაძისებური მჭმუნვარება იცავს და გადამტყდარ მახვილს დაყრდნობილი უმზერის უფსკრულის პირად წარმომდგარ ერს, რომელსაც დაპვიწყება მდგომარეობა, დაპვიწყებია საშინელების მიერ ამართული ბლაგვი ნაჯახი და ბავშვურ ენტუზიაზმით შეპხარის განათლების ტაძარში ახალ ზარების ჩამორეკვას, სადაც თუ კი აცალეს, იეზეკილისებური უფრო, სარისთავა ქურუმები კი არ იმეფებენ, ძველი რუთინის ყრუ და მუნჯი ქურუმნი, — არამედ მშობლიური კერით ნაწრთობ-გამოზრდილი თავგანწირული მეჩირაღდნენი!

შემდეგ ტრიბუნა დაამშვენა მელიქიშვილმა, ჭალარა, წელთა დაზიდული, მაგრამ ენერგიით მეტყველი სახე გახარებთ, გატკბობთ, წინასწარ გაგრძნობინებთ, რომ ერი განცდათა გარდაქმნის შემდეგ არ უნდა დაეცეს სულით: „საშინელება იყო საფრანგეთის თავს. დიდმა რევოლუციამ გასისხლიანებულ გულმკერდზე სასიკვდილო მახვილი დაჭირა, მაგრამ ფენიქსებურად იგივე საფრანგეთი აღზევდა, განახლდა. მან წარმოშვა სახელოვანი კარნო, მეცნიერების ისეთი ვენოსთაგანი, როგორც ლაფკაზი, ბერტპოლე...“ მშვიდი, მისი ბეჯითი სიტყვა გეუბნებათ, რომ საღი სული და მეცნიერების ქურაში წრთობილი გული არ დაპღუპავს მას...

შემდეგ დაიწყო მიღოცვები მეზობელთა თუ უცხოეთიდან. გესმით ქათინაურები მრავალ საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან. მრავალნაირია სიტყვათა კონა, მაგრამ ყველას ერთი და იგივე სურვილი ამკობს: „ქართველი ერი უპირატესია მეზობელთა შორის. იგი წინმსრბოლი იყო პოლიტიკურად და განათლების მხრით წილად ჰხვდა პირველობა უნივერსიტეტის გახსნაში...“

დ.კ.

გაზ. „საქართველო“, 1918, №23

* * *

1918 წლის 2 აგვისტო

ᲝᲥᲛᲘ

სახალხო განათლების სამინისტროსთან დაარსებულ სამთა კომისიის სხდომისა ქართულ უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ

თავმჯდომარეობდა: განათლების მინისტრი გ. ლასხიშვილი

დაესწრენ: განათლების მინისტრის ამხანაგი ალ. მდივანი,პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. პ. მელიქიშვილი, სახელმწიფო კონტროლიორი ფ. გოგიჩაიშვილი, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კანდელაკი, საგანგებო საქმეთა მოხელე შინაგან საქმეთა მინისტრთან დ. ხოშტარია.

ტფილისის ქალაქის თავი ბ.ნ. ელიავა, საგანგებო ბარათით მოწვეული, სხდომას არ დასწრებია.

1. მოისმინეს: საკითხი ტფილისის ქართულ უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ.

დაადგინეს: გადაკეთდეს ტფილისის ქართული უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად და დაერქვას მას: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

II. მოისმინეს: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებით ძირითად დებულებათა შესახებ:

ა) ძირითადი დებულებანი უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ;

ბ) ძირითადი დებულებანი ერთი სამეცნიერო ხაისხის შესახებ (დოქტორისა ანუ მოძღვართა მოძღვარისა).

დაადგინეს: დამტკიცდეს.

III. მოისმინეს: უნივერსიტეტის საკარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ (1918 წ. შემოდგომის სემესტრისათვის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე)

დაადგინეს: პროექტი ხარჯთ-აღრიცხვისა დამტკიცდეს მცირე შესწორებით: ნაცვლად 5 500 მ., რომელიც გადადებულ იყო შენობის გათბობისა და განათებისათვის, გადაიდოს 7500 მ. და მოულოდნელ ხარჯებისათვის ნაცვლად 2500 მ. — 6000 მ. საერთოდ — 289.966 მან. და 60 კ.

IV. მოისმინეს: კანონპროექტი.

დაადგინეს: დამტკიცდეს და წარედგინოს მთავრობასა და ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე
მინისტრი გ. ლასხიშვილი
წევრები: კ. კანდელაკი
დ. ხოშტარია
ფ. გოგიჩაიშვილი
მდივნის მაგივრ: კ. აბაშიძე

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 253, ფურცელი 4.

* * *

საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის გ. ლასხიშვილის

მოხსენებიდან

(არა უგვიანეს 1918 წლის 30 ივლისისა)

საქართველოს განათლების მინისტრი საქართველოს ეროვნულ საბჭოს

მიმდინარე წლის იანვარში საქართველოს დედა ქალაქში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. იგი ჯერ წასული წლის შემოდგომაზე უნდა დფუძნებულიყო, მაგრამ ვინაიდან რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროში წარდგენილსა და მთავრობის მიერ მოწონებულს უნივერსიტეტს „ძირითად დებულებათა“ გამოგზავნა „ბოლშევიკურ“ რევოლუციის გამო შეფერხდა, ჩვენი სასწავლებლის წესდება ამიერ-კავკასიის კომისარიატს წარედგინა და უკანასკნელმაც დაამტკიცა იგი წარსულის 1917 წლის 2 დეკემბერს. 1918 წ. 26 იანვარს უნივერსიტეტი გაიხსნა კიდეც, რაც ქართველმა ერმა დიდის სიხარულით და ზეიმით იდღესასწაულა. ქართულ უნივერსიტეტს იგივე სამეცნიერო მიზანი აქვს დასახული, როგორიც საზოგადოდ ყველა ხალხისა და ქვეყნის უმაღლეს სკოლას, მაგრამ ამასთანავე იგი თავის განსაკუთრებულ, უპირველეს ყურადღებას საქართველოს, კავკასიისა და ახლო-აღმოსავლეთის წარსულსა და აწმყოს, ადამიანისა და ბუნების ყოველმხრივ შესწავლას აპყრობს. ამისდა მიხედვით უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაც შედარებით სხვა მაღალი სკოლის პროგრამებთან უფრო ვრცელია და შეკუმშული ისეთის საგნებით, რომელთაც ამ სახით აღგილი არა აქვთ სხვა უნივერსიტეტებში. განსაკუთრებით ფართოდ დაყენებულია საქართველოსა და ქართელის შესახებ სხვა და სხვა მეცნიერების შესწავლა.

ვიღებ რა მხედველობაში ზემოხსენებულს, აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ რაკი ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი რესპუბლიკა და მაშასადამე მაღალი სკოლაც სახელმწიფო უნდა იქმნეს, მხარს ვუჭერ პროფესორთა შუამდგომლობას და ვთხოვ: ა) რომ ცნობილ იქმნას ქართული უნივერსიტეტი“ და დაერქვას მას „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ვინაიდან ეს სახელი საქართველოში უპირველესად მას ეკუთვნის; ბ) მიეცეს ხოლმე ტფილისის უნივერსიტეტს სახელმწიფო ხაზინიდან დახმარება თანახმად ყოველწლიურ წარმოდგენილ ხარჯისაღრიცხვისა, გ) უნივერსიტეტის უზენაესი მეთვალყურეობის უფლება სახალხო განათლების სამინისტროს მიენდოს.

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 253, ფურცლები 7—9.

* * *

საქართველოს ეროვნული საბჭოს საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის სხდომის ჟურნალი 1918 წ. აგვისტოს 25.

დაესწრნენ: დ. თოფურიძე, ი. ლორთქიფანიძე, ა. ჭიაბრიშვილი, ნ. ცინცაძე, დ. შარაშიძე, ნ. ქარცივაძე, ს. მდივანი, ნ. ელიავა, დ. ონიაშვილი და იუსტიციის მინისტის ამხანაგი გ. გელესიანი.

თავმჯდომარეობდა დ. თოფურიძე
მდივნობდა ბ.გამსახურდია.

განსახილველი საგანი: ქართულ უნივერსიტეტის დებულება და მისი წლიური ხარჯთ-აღრიცხვა.

დადგენილება: დებულება კომისიის მიერ უცვლელად იქნა მიღებული, ხოლო ხარჯთაღრიცხვაში შეიტანა ცვლილებანი ვინაიდან შტატების ჯამაგირები მეტად მცირედ დაინახა.

ჯამაგირები გადიდებულ იქნა შემდეგის ნუსხით: პროფესორის ჯამაგირი თვეში 900 მ., რექტორის — 1350 მ., დეკანის 1200 მ., ფაკულტეტის მდივნის 1100 მ., ლექტორების — 500 მ., გამგეობის მდივან მწიგნობარის — 600 მ., ორის მაგივრ ერთი თანაშემწე ჯამაგირით — 250 მ., დაბალ მოსამსახურეთ 250 მ., უნივერსიტეტთან დატოვებულების — 300 მ., თუ ესენი უცხოეთში გაიგზავნებიან 600 მ.

დედანთან სწორია
მდივნის მაგივრ ბ. გამსახურდია

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე №245, ფურცელი 12.

პუბლიკაცია მოამზადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა

ვახტანგ გურულმა

* * *

რედაქტორისაგან:

ზემოთწარმოდგენილ ფულის კურსს თუ გავითვალისწინებთ, უნივერსიტეტის ამჟამინდელი თანამშრომლის ხელფასი სულ მცირე ათჯერ ნაკლებია, იმასაც თუ გავაზრებთ, რომ ცხოვრება ასჯერ მაინც გაძვირდა, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეშია პატიოსანი ინტელიგენტი, ხაზს ვუსვამთ, პატიოსანი...

გურამ ფანჯიკიძე: არა გვაქვს შეცდომის უფლება!

— ბატონო გურამ, მაგონდება თქვენი წერილები განათლების თაობაზე. თუ არ ვცდები, 1983 წელს გამოქვეყებულ თქვენს წერილში სწავლა-განათლება ცალკე პუნქტად გქონდათ გამოყოფილი.

გურამ ფანჯიკიძე — მართალი ბრძანდებით. სწავლა-განათლება ერთი უმთავრესი, ურთულესი და სასიცოცხლო პრობლემაა ქართველი ერის ცხოვრებაში.

დღეს მსოფლიოში სიტუაციები სწრაფად იცვლება, იმ ბიჭუნებსა და გოგონებს, დღეს რომ „საბავშვო ბაღებში ან სკოლებში არიან, იმ ჰაბუკებს და ქალიშვილებს, დღეს რომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, რამდენად ვამზადებთ ოცდამეერთე საუკუნის ფსიქოლოგიითა და ცოდნით? სამწუხაროდ, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის პროგრამები არამცთუ ხვალინდელი, დღევანდელი დღის ამოცანებსაც არ შეესაბამება. დიდხანს ვტრაბახობდით, რომ ქართველები მსოფლიოში წინ ვიყავით უმაღლესდამთავრებულთა პროცენტული შემადგენლობით. შეიძლება ეს მართლაც ასეა, მაგრამ დღეს ნათელი გახდა, რომ ჩვენი უმაღლესდამთავრებულები ტექნიკუმდამთავრებულთა დონეზეც კი არ დგანან

როგორ გვინდა ასეთი კადრებით ვმართოთ დამოუკიდებელი საქართველო? როგორც ზემოთ ვამბობდი, რაც შეიძლება მალე უნდა შემუშავდეს დამოუკიდებელი საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებანი. მათი განვითარების კონცეფციები, რაც შეიძლება მალე უნდა შემუშავდეს არმიის, ენერგეტიკის, ექსპორტისა და იმპორტის, კულტურულ და დიპლომატიურ ურთიერობათა კონცეფციები. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება ვიქონიოთ სწორი ორიენტაცია, რა მიმართულებით გარდავქმნათ საქართველოში სწავლა-განათლების საქმე, რა კადრები იქნება ძირითადად საჭირო საქართველოსათვის.

მაგალითისათვის ისევ ისრაელს ვაგიხსენებ. მინდა მთელი პასუხისმგებ

ლ

ბით განვაცხადო, რომ იქაური 14—15 წლის ახალგაზრდები თავისი განათლობით უკვე დგანან ჩვენი უმაღლესის კურსდამთავრებულთა დონეზე. სრულყოფილად ფლობენ კომპიუტერებს, სპეციალურ დისციპლინებს, უცხო ენებს. აღარაფერს მოგახსენებთ შრომის სიყვარულსა და დისციპლინაზე. პარალელურად ისინი სრულყოფილად ეუფლებიან სამხედრო ხელოვნებას, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვი, ყოველი, ნებისმიერი პროფესიის ისრაელელი ახალგაზრდა ამავე დროს ჯარისკაცია, ამიტომაცაა,რომ ამ პატარა ქვეყანამ მიუღწეველს მიაღწია ტექნიკის განვითარების სფეროში. ლაზერული სისტემების დამუშავებაში, საავიაციო ელექტროსამართავი მოწყობილობების შექმნაში, სარადარო სისტემების შექმნა-შემუშავებაში, სანავიგაციო ხელსაწყოების მრეწველობაში, მედიცინაში და სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში იგი უფრო წინ წავიდა, ვიდრე ამერიკა და იაპონია.

რას ემყარება დღეს საქვეყნოდ აღიარებული იაპონიის ამოდენა წარმატებანი? იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ მხოლოდ მუშის მაღალ კვალიფიკაციას, პატიოსან, თავდაუზოგავ შრომას და წარმოების დიდ ორგანიზაციას?! რასაკვირველია, ერთსაც, მეორესაც და მესამესაც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ამ წარმატებაში განათლების დიდი როლი.

იაპონიაში სწავლა ისეთ დონემდეა მიყვანილი,რომ ბავშვებმა ლამის დაკარგონ ბავშვობა, იქ საყოველთაოდაა ცნობილი სენტენცია: „თუ მხოლოდ ოთხ საათს იძინებ, გამოცდებს ჩააბარებ, თუ ხუთს საათს იძინებ — ჩაფლავდები!“

იაპონიაში აქვთ აგრეთვე, ეგრეთწოდებული „ჯოჯოხეთური ბანაკები“, ანუ იგივე მენეჯერთა სკოლები, სადაც 17 საათიანი სასწავლო დღე მართლაც ჯოჯოხეთადაა ქცეული. დიდი განათლების შეძენასთან ერთად სწავლების მიზანია ხელმძღვანელების მიმართ სრული ლოიალობის გრძნობის შექმნა და გამძლეობის გამომუშავება ურთულეს სიტუაციებში მოქმედებისათვის. ამ სკოლებში სწავლა იწყება ... 4. 30 საათზე!

სწავლების ხარისხს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ამერიკელები, ინგლისელები, გერმანელები. 1961 წელს, როცა იური გაგარინი გახდა კოსმოსის პირველი სტუმარი, პანიკამ მოიცვა მთელი მოწინავე კაპიტალისტური სამყარო. ამერიკაში სასწრაფოდ შეიქმნა პრეზიდენტის საგანგებო კომისია, რომელმაც გააკეთა ასეთი დასკვნა: საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ამერიკის მოსახლეობას განათლების დონითო. დასავლეთი დაიწყო გახათლების ნამდვილი ბუმი. ჩამოყალიბდა საყოველთაოდ ცნობილი ლონდონის ღია უნივერსიტეტი, ძალზე გაიზარდა განათლების ხარჯები, ყოველდღიურად უმჯობესდებოდა სასწავლო მატერიალური ბაზები.

„ლიტერნატურნაია გაზეტა“ წერდა: „მსხვილმა საზღვარგარეთულმა ფირმებმა შექმნეს კადრების მოსამზადებელი და გადასამზადებელი საკუთარი სისტემები. არსებობს სპეციალური სასწავლო დაწესებულებები. მასწავლებელთა შტატიანი კოლექტივები, სადაც წარმოების თანამედროვე დარგებში ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მუშების 75—78 პროცენტი ყოველწლიურად იმაღლებს კვალიფიკაციას. ამ მიზნებისათვის ფირმები საშუალოდ თავიანთი გასავლის 15 პროცენტს ხარჯავენ. მოზრდილთა განათლების დარგში ჰყვავის კერძო ბიზნესი, რომელიც წარმოება-დაწესებულებების შეკვეთებს ასრულებს. კერძო ფირმები გეგმავენ და წარმართავენ სასწავლო პროცესებს“ (2.XII.87).

რა მდგომარეობაა ჩვენთან, საქართველოში?

ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, საერთოდ, რა დონეზე დგას ჩვენთან სწავლება სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც. ამ ბოლო დროს ხომ ლექციები სანახევროდაც აღარ ტარდება .

დიახ, რა ხდება დღეს საქართველოში?

თქვენი არ ვიცი და მე სირცხვილით ვიწვები ჩვენი ორასსამოცდაათი თუ უფრო მეტი უნივერსიტეტის შემხედვარე.იმასაც მოვესწარით, რომ ხაშურის უნივერსიტეტი, სკოლის შენობაში რომ შეიჭრა ოთახების ხელში ჩასაგდებად, ყოველგვარი ლაბორატორიებისა და სხვა სასწავლო საშუალებების გარეშე, საუნივერსიტეტო განათლებას ვინ დაეძებს, ჩვიდმეტი სამეცნიერო დარგის ასპირანტებსაც ამზადებს! თვით თბილისის სახელმოხვეჭილ და ტრადიციულ უნივერსიტეტსაც კი გაუჭირდება მეცნიერების ჩვიდმეტი დარგის ასპირანტების მომზადება, ხაშურის უნივერსიტეტი კი ამზადებს!

ვერცერთ საკითხს დღეს განცალკევებულად ვერ გადაჭრი. ცხოვრება გართულდა, ყველა დარგი, ყველა პრობლემა ხილული და უხილავი ძარღვებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

განათლების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს განათლების სტრატეგიული გეგმა, მაგრამ განათლების სამინისტრომ რომ სტრატეგიული გეგმა შეიმუშაოს, სამრეწველო თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროებს უნდა ჰქონდეთ შემუშავებული თავიანთი სტრატეგიული გეგმა. კერძოდ, უნდა ვიცოდეთ, მრეწველობის რა დარგებს მიეცემა უპირატესობა საქართველოში, სოფლის მეურნეობის დარგები ძირითადად გარკვეულია, მარამ ცხოვრების წინსვლამ, მოწინავე ქვეყნების გამოცდილებამ და მექანიზაციის განვითარებამ, რასაკვირველია, ახალი ამოცანები დააყენა სოფლის მეურნეობის წინაშე.

დამოუკიდებელ საქართველოს დასჭირდება დიპლომატები, საგარეო და საშინაო ვაჭრობის, საერთაშორისო სამართლისა და უცხო ენების სპეციალისტები.

ჩემს მიზანს ამჟამად არ წარმოადგენს გავარკვიო, უკვე ხვალინდელი დღიდან რა დარგის სპეციალისტები დაგვჭირდება. მინდა გამოვკვეთო მხოლოდ ერთი რამ: რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ ის ფაკულტეტები, უნდა გამოიკვეთოს ის სპეციალობები, რომლებიც სასიცოცხლოდ საჭირო იქნება დამოუკიდებელი საქართველოსათვის. ამიტომ დროულად უნდა აღიკვეთოს ის ქაოსი და განუკითხაობა, ამჟამად რომ არის გამეფებული.

ზოგიერთ სპეციალობაზე მაინც მინდა ყურადღება გავამახვილო. თითქმის ნახევარმა მილიონმა სომეხმა იცის ქართული ენა. რამდენმა ქართველმა იცის სომხური ენა?

თითქმის ასი ათასი აზერბაიჯანელი ლაპარაკობს ქართულად, რამდენი ქართველი ლაპარაკობს აზერბაიჯანულად?

ასევე არიან აფხაზებიც და ოსებიც.

ისინი ყველაფერს კითხულობენ, რაც საქართველოში იწერება, ყველაფერს ისმენენ, რაც საქართველოს რადიოთი და ტელევზიით გადაიცემა.

მათთვის ნათელია, საქართველოში ვინ ვის ებრძვის, ვინ რას მოითხოვს, ვინ რისკენ მისწრაფვის; როგორია წყალქვეშა დინებანი, სად გვაქვს სუსტი წერტილები, როგორია ჩვენი სამოქმედო გეგმა, როგორია უფრო შორეული პერიოდის პროგრამა. თითქმის ყველა საზეიმო და სახელმწიფო საიდუმლოება, მათთვის ხელმისაწვდომია.

ჩვენ კი?

თითო-ოროლა სპეციალისტის შემხედვარემ, ვიცით, რას წერენ ან რას ლაპარაკობენ ისინი? თვით საქართველოში გამომავალ სომხურ და აზერბაიჯანულ გაზეთებში, სომხურ და აზერბაიჯანულ გადაცემაში თუ ვკითხულობთ ან ვიგებთ, რას წერენ ან ლაპარაკობენ?

ქართველებს იქვე, აფხაზეთში (ან, ანალოგიურად, სამაჩაბლოში) აფხაზური ენის მცოდნენი რომ ჰყოლოდათ, ხომ უმალვე გავიგებდით, რა იბეჭდებოდა „ბზიფში“, „აიდგილარაში“ და სხვა აფხაზურ გაზეთებში, ყურს მიანც მოჰკრავდნენ და გაიგებდნენ ლიხნის თავყრილობისა და წერილის არსებობის ამბავს!

როდემდე უნდა ვიყოთ ასეთი დაუდევრები? თითო-ოროლა, თუნდაც მაღალი რანგის სპეციალისტი საქმეს ვერ გასწვდება. სასურველი კი არა, აუცილებელია, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. თანაც მომავალში კი არა, დღესვე!

საქართველოს გაცხოველებული ურთიერთობები ექნება ირანთან, თურქეთთან, საერთოდ, შავი ზღვის ქვეყნებთან, ჩვენი მომავალი საერთაშორისო ურთიერთობანი გვკარნახობს და მოითხოვს ამ სახელმწიფოთა ენების სპეციალისტების უკეთ მომზადებას.

დამოუკიდებელ საქართველოს სხვა განათლება, სხვა კულტურა და სხვა ინტელექტი სჭირდება.

ამ ელემენტარული ჭეშმარიტების გაუთვალისწინებლობა საბედისწერო შეცდომა იქნება!

— თქვენ ბრძანეთ, რომ მაშინ თოთხმეტი პრობლემა განიხილეთ, რომელთა გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა. კიდევ რა პრობლემაზე გქონდათ მსჯელობა?

გ.ფ.. — არ მინდა დღევანდელ ინტერვიუში ყველა პრობლემა გავიხსენო და გავიმეორო. ერთ უმთავრეს პრობლემაზე მაინც ვილაპარაკებ, ესაა გზა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ძალზე ხელსაყრელი სატრანსპორტო მდებარეობა აქვს, იგი მაინც ჩაკეტილი ქვეყანაა,თუკი, რასაკვირველია, ზოგიერთებს დავუჯერებთ და რუსეთთან ურთიერთობას მთლიანად გამოვრიცხავთ.

მინდა კიდევ ერთხელ გავიხსენო, რომ საქართველოს შემოაქვს 12 მილიონი ტონა პირობითი საწვავი, 2 მილიონი ტონა ხორბალი, 2 მილიონი ტონა რძის პროდუქტები, მილიონამდე ტონა ხორცი, 2 მილიონამდე კუბური მეტრი ხე-ტყე და ვინ მოთვლის კიდევ რა. გარდა შემოტანისა, ისიც ხომ უნდა ვიანგარიშოთ, რამდენი რამ უნდა გავიტანოთ!

ტვირთის უდიდესი ნაწილი შემოგვაქვს რკინიგზით (1985 წლის მონაცემებით 13.487 მილიონი ტონა-კილომეტრი) და, რაც მთავარია, შემოგვაქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან. საავტომობილი ტრანსპორტიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთო ტვირთბრუნვაში (ძირითადად, თვით რესპუბლიკაში, 6.966 მილიონი ტონა-საათი) ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის წილად ტვირთის უმნიშვნელო რაოდენობა მოდის.

დიახ, გზის პრობლემას მე მაშინ საკმაოდ დიდი ნაწილი მივუძღვენი ჩემს წერილში. დღეს, მგონი, აღარ უნდა იყოს საკამათო, სახელმწიფოსათვის რას ნიშნავს გზა. რუსეთთან ყოველგვარი კავშირი რომ გავწყვიტოთ, როგორც ეს ზოგიერთს უნდა, გზის პრობლემას როგორ გადავჭრით? ევროპიდან, გნებავთ, აზიიდან შემოტანილმა ტვირთმა ხომ მაინც რუსეთის გზებით უნდა მოაღწიოს ჩვენამდე! თურქეთისაკენ მიმავალ გზას რთული რელიეფის გამო ვერასდროს ვერ ექნება ტვირთის დიდი გამტარუნარიანობა. ჩვენი ნავსადგურები ჯერ მზად არ არიან და ძალიან დიდხანს ვერ შესძლებენ მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღონ ტვირთი.

ავიაციის როლი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს საერთო ტვირთბრუნვაში, მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ავიაციით შემოტანილი ხე-ტყე, ნავთობი და სხვა სახის ტვირთი.

თუ ღმერთმა ქნა, ჭკუაზე მოვეგეთ და საქართველოში მშვიდობა დამყარდა, ძალზე გაიზრდება ტვირთბრუნვის გეოგრაფია. სატრანზიტო ტვირთის გატარება, რასაც ჩვენ მომავალში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, გზებზე მოითხოვს არამარტო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, არამედ თვით ავტომაგისტრალების ნორმალურ ხარისხს მაინც, თანაც სასტუმროების, კემპინგების, ავტომომსახურებისა და ავტო-გასამართი სადგურების

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“, №2-3 1993 წ.

ფართო ქსელს. ბატონო ფელიქს, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ევროპა. ვთქვათ, ესპანეთიდან მანქანას ტვირთი მიაქვს გერმანიაში, ბუნებრივია, საფრანგეთის გავლით. ისიც წარმოვიდგინოთ, საფრანგეთში, ტრასაზე შოფერმა ვერ იშოვა ბენზინი, ან მანქანის რომელიმე დაზიანებული ნაწილი... უნებურად, მაგონდება საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის განცადება მაშინდელი პარლამენტის სხდომაზე. ახლა მალე ყინვები დაიწყება, ზღვა გაიყინება და აზიისკენ გასატანი სატრანზიტო ტვირთი ფოთში შემოვა. ჩვენს ტერიტორიაზე გატარებისათვის ტვირთის პატრონებს საერთო ღირებულების ოცდახუთ პროცენტს გადავანდევინებთ და გვეშველებოდ.

როცა მსგავს დილეტანტურ მოსაზრებებს მიტინგებზე ვისმენთ, კიდევ არაფერი, მაგრამ როცა მას პრემიერ-მინისტრი პარლამენტის სხდომაზე ამბობს, ეს უბედურებაა! მოდით, ვიმსჯელოთ, რამდენი შეუსაბამობაა ყოფილი პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

1. იყინება კი, საერთოდ, შავი ზღვა? შარშან ზამთარში, ან თუნდაც წელს ფოთში რომელიმე გემი შემოვიდა ზღვის გაყინვის გამო?

2. ვთქვათ, მართლა გაიყინა ზღვა და მთელი გემები ფოთს მოაწყდა. ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვის თეორიული სიმძლავრე 6 მილიონი ტონაა წელიწადში და იმ ტვირთსაც ვერ აუდის, განრიგით რომ შემოდის. ვინ ან როგორ გადმოტვირთავს ამ „მოზღვავებული გემების“ ტვირთს?!

3. ვთქვათ, მოვახდინეთ სასწაული და გემები გადმოვტვირთეთ, საქართველოს რომელი გზებით გინდა გაატარო ამდენი ტვირთი?

4. პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ კიდევ ერთხელ ვიხმაროთ სიტყვა „ვთქვათ“. დიახ, ვთქვათ, და ტვირთიც გავატარეთ. ვინ, ან რომელი ტარიფით გადაგვიხდის ტვირთის ღირებულების ოცდახუთ პროცენტს?!

მინდა გკითხოთ, განა შეიძლება ამ დონეზე აზროვნება და ამ დონეზე სახელმწიფოს მართვა?

იქნებ ეს მაგალითი არც გამხსენებოდა, გამონაკლისი რომ იყოს. სამწუხაროდ, მსგავსი მოსაზრებანი დღესაც ხშირად გაისმის პარლამენტის სხდომებზე.

—როგორ ფიქრობთ, დღევანდელი სიტუაცია კიდევ ხომ არ აუარესებს საქართველოს ისედაც სავალალო დემოგრაფიულ სურათს?

*გ.ფ. — ერთხელ მე ძალიან დიდი ხის წინ დავწერე, ქართველი ერის ფიზიკური მატება მეექვსე შვილი არის-მეთქი. ბევრი ვერ გაერკვა ელემენტარულ მათემატიკაში. სამწუხაროდ, ერთი საკმაოდ ცნობილი მეცნიერიც ვერ გაერკვა ჩემს დებულებაში და თავაზიანად, მაგრამ მაინც ირონიულად დაწერა, თვითეულ ოჯახზე ექვსი შვილი მცდარი და არარეალური რიცხვიო. მინდა კვლავ განვუმარტო მასაც და ზოგიერთებსაც, თუ რატომ არის მეექვსე შვილი მატება დღევანდელ საქართველოში. ოჯახი, რომელმაც ორი შვილი გაჩინა, ერს არაფერი მოაკლო, მაგრამ არც არაფერი მიუმატა. თუ ყველა ოჯახს ორ-ორი შვილი ეყოლება, ერის რაოდენობა უცვლელი დარჩება და, თუ აქა-იქ მესამე შვილს გააჩენენ, ეს უკვე ერის ფიზიკური მატება იქნება. დიახ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება მესამე შვილი ერის მატება, მაგრამ აბა წარმოვიდგინოთ, რამდენი ქალიშვილი რჩება გაუთხოვარი, რამდენ ოჯახს ჰყავს მხოლოდ ერთი შვილი, რამდენია უშვილო და რამდენია მსხვერპლი?!

ხსენებული წერილი 1989 წელს დავწერე. მახსოვს, მასალებს რომ ვაგროვებდი, ერთ საწარმოს ვეწვიე, სადაც 18-დან 30 წლის ასაკამდე 3600 ქალიშვილი მუშაობდა (საწარმოს სახელწოდება შეგნებულად არც მაშინ დამისახელებია, არც ახლა ვასახელებ). სამწუხაროდ და სავალალოდ, ამ 3600 ქალიშვილიდან მხოლოდ 1200-სს ჰქონდა ოჯახი შექმნილი.

გეკითხებით, ამოდენა დანაკლისს არ სჭირდება კომპენსაცია?

სწორედ ამ დანაკლისის „ამოვსებას“ სჭირდება მესამე, მეოთხე და მეხუთე შვილები. ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, ყველა დედამ ექვსი შვილი გააჩინოს. ჩვენი ამოცანა ის არის, ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა შექმნან ოჯახები და ორ-ორი შვილი მაინც იყოლიონ, რომ ამ გზით მესამე შვილით უკვე ეროვნულ მატებას მივაღწიოთ. დღეს ჩვენი ახალგაზრდობა ომებში ნადგურდება, უფრო მეტი კი ნაძირალასა და ყაჩაღის ხელით იღუპება. ეკონომიკური გაჭირვებით, მოსალოდნელი შიმშილით, ყაჩაღობითა და განუკითხაობით შეშინებული ახალგაზრდები ოჯახის შექმნასა და შვილის გაჩენას გაურბიან. ის თაობა ნელ-ნელა გადადის, ხუთ, ექვს და მეტ შვილს რომ აჩენდნენ. დღეს სამი და მით უმეტეს, ოთხი შვილის გაჩენა გმირობის ტოლფასია. ყველა ამ უბედურებას დაუმატეთ განქორწინებათა რიცხვის ზრდა. დიახ, გამრავლების პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ოჯახების დანგრევა. სამწუხაროდ, დღევანდელი მონაცემები არ ვიცი, უფრო ზუსტად, ვერავინ მითხრა, ახლო წარსულის მონაცემებს კი ახლავე მოგახსენებთ: თუ 1950 წელს საქართველოში იყო განქორწინების 427 შემთხვევა, 1986 წელს დაინგრა 6667 ოჯახი! ვფიქრობ, დღესდღეობით განქორწინებათა რიცხვი გაცილებით დიდი იქნება. ამდენ განქორწინებას კი მარტო შობადობის შემცირება როდი მოჰყვება, დანგრეულ ოჯახებში აღზრდილი ბავშვების უმრავლესობის სულსა და გონებას მაინც ამჩნევია თავისი დაღი.

ყველა ამ უბედურებას თან ერთვის ნარკომანია. და თუ რას ნიშნავს ნარკომანია საერთოდ და, მით უმეტეს, პატარა ერისათვის, ყველას მშვენივრად მოეხსენება და ამაზე აღარ ვილაპარაკებ.საბოლოოდ კი, თუ ღრმად და საფუძვლიანად გავაანალიზებთ ყველა მოვლენას, აშკარად დავინახავთ, რა საშინელი კატასტროფის წინაშეც ვდგავართ.

— ყველა ეს საშინელი, გადაუჭრელი თუ ძნელად გადასაჭრელი პრობლემა რა ზეგავლენას ახდენს ქართულ კულტურაზე?

გ.ფ. რასაკირველია, უარყოფითს. ჯერ იყო და საბაზრო ეკონომიკამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ქართულ კულტურას. ფასების საშინელმა ზრდამ, ცხოვრების გართულებამ, საყოველთაო უდისციპლინობამ და განუკითხაობამ ხალხს ლამის დაავიწყა კულტურული ცხოვრება. აღარ გამოდის წიგნები, აღარ იდგმება სპექტაკლები, ცარიელია სათეატრო თუ საკონცერტო დარბაზები, მაგრამ ეს არაფერია. გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც გამოვნახავთ აღორძინების გზებს. მთავარი სულ სხვა რამაა. ყოფილმა პრეზიდენტმა და მისმა თანამებრძოლებმა ჯერ კიდევ ადრე, სანამ ხელისუფლების სათავეში მოვიდოდნენ, შეგნებულად დაგეგმეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, გარკვეულ ფენებში შეძლეს კიდეც ჩანაფიქრის განხორციელება. არაფერს არ იშურებდნენ, არაფერს არ თაკილობდნენ, რომ ქართველი მწერლობა და კულტურის წარმომადგენლები, გამოჩენილი მწერლები და, საერთოდ, ყველა, ვისაც სახელი და გვარი ჰქონდა, ლაფში ამოესვარათ, ყველასათვის მაკომპრომიტირებელი რამ გამოენახათ და ეროვნულ ღალატში ბრალი დაედოთ.

ჩემი სიტყვები მშრალ განცხადებად რომ არ დარჩეს, რამდენიმე ციტატას მოვიშველიებ:

„ვიცით, ბატონებო, — მიმართავენ ოპოზიციონერებს, — ჭკუაც გიჭრით და გონებაც. მაგრამ გული?... მერე რა, თუ დიდი სუფრის თავკერძები შემოგაკლდათ. ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ უმთავრეს ადამიანურ ფუფუნებას — შინაგან „მეს“, სიმართლესა და სიწმინდეს... ვითომ „დემოკრატიისათვის“ შებრძოლ საეჭვო ძალებს დაუსჯელობის ილუზიაც არ უნდა ჰქონდეთ, რადგან ბოროტის შეწყალება კეთილის დაჩაგვრაა“ („თბილისი“, 18.X.91).

„ახლა ხშირად ამბობენ და წერენ, კანონიერმა მთავრობამ ინტელიგენცია გარიყაო. საკითხავია, რომელი ინტელიგენცია? კომუნისტურმა რეჟიმმა „ინტელიგენტებად“ რომ დანიშნა თავმოკანტურე ფუნქციონერები?“(„ლიტერატურული საქართველო“, 19.VII.91).

„ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებო“, საქართველოში რომ შეჰქმენით ბალტიისპირული ინტერფრონტის ანალოგიაინტერფრონტი, რომლის უპირველესი მიზანი ძველი დროის დაბრუნებაა, დიახ, თქვენი მიზანი, ჩემი ღრმა რწმენით, მოღალატურია.

პირდაპირ გეუბნებით, — თავს ნუ იტყუებთ და ნურც სხვას აყრით თვალებში ნაცარს — თქვენ სამშობლოს ბედი კი არ გენალვლებათ, არამედ ერისკაცობისა და პატრიოტების ნიღაბფარებულნი ძველ დროს მისტირით, „მტკბარად ნაგებ დროს“, თქვენ საბჭოთა ინტელიგენცია ხართ, საბჭოთა იმპერიის ყურმოჭრილი მონები!

„გაფრთხილდით, თქვენი „ბრძოლა“ წინასწარვე წაგებულია, დაიცხრეთ ვნებები, დაიოკეთ ამბიციები, მოთოკეთ თქვენი ბუნება. ჯერ კიდევ არის დრო, მოღალატეებად ნუ ჩაეწერებით საქართველოს ისტორიაში“. („თბილისი“, 1.X. 91 წ.)

გავაგრძელო? მე მგონი, არ ღირს!

ერთს კი ვიტყვი, ამ საქმეებსაც ეშველება. ვინც დღეს კიდევ მსგავსი აგიტაციის გავლენას კიდევ განიცდის, მჯერა, ხვალ თუ არა ზეგ აუცილებლად განთავისუფლდება ამ გავლენისაგან.

მე, ერთ უფრო დიდ საფრთხეზე მინდა გავამახვილო ყურადღება. საბაზრო ეკონომიკას თან ახლავს რაც შეიძლება ბევრი ფულის მოგების ციებ-ცხელება. დგება რეალური საშიშროება, საყოველთაო ბიზნესმა მთლიანად არ შთანთქას ერის ინტელექტი, ერის სულიერი კულტურა, სწრაფვა მშვენიერებისა და ჭეშმარიტებისაკენ. ვაი თუ შეიცვალოს ერის სულიერი ორიენტირები, ვაი თუ წინა პლანზე გამოვიდეს სულ სხვა ღირებულებები! განა მსოფლიოში ერთი და ორი გვაქვს მსგავსი მაგალითი? საყოველთაო ბიზნესს მხოლოდ დიდი ქვეყნების კულტურები უძლებენ. პატარა ქვეყნები ერთ დიდ მაღაზიას ან ერთ დიდ სასტუმროს ემსგავსებიან, სადაც მელი ერია დაკავებული. შვეიცარიის მაგალითი ჩვენ არ გამოგვადგება. იქ, ციურიხის მხარეს გერმანელები ცხოვრობენ და გერმანული კულტურის ნაწილი არიან, ჟენევის მხარეს — ფრანგები, ლუგანოს მხარეს — იტალიელები.

ამიტომ, ახლა რომ ჩვენ, მწერლებსა და კულტურის მოღვაწეებს გვესმის, დიდი სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირების სიბრაზეშერეული ხმა, ქვეყანას უჭირს, თქვენ თავს თვითონვე მოუარეო, პირადად ჩემში დიდ პანიკას იწვევს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს თუ რამ ექსპორტი გააქვს უცხოეთში მსოფლიო სტანდარტების დონეზე, მხოლოდ კულტურაა. ქართული მწერლობა, კულტურა და ხელოვნებაა ის უპირველესი საგზიტო ბარათები,რომლითაც ქართველი ერი უნდა წარსდგეს მთელი მსოფლიოს წინაშე. დღეს მწერლობამ და ხელოვნებამ უნდა ამოძირკვოს ქართველ ერზე ის წარმოდგენა, ნაქურდალი სპილენძით, ათასგვარი ნივთებით და სხეულით მოვაჭრე ქართველებმა რომ დამკვიდრეს მრავალ ქვეყანაში. ქართულმა მწერლობამ და კულტურამ უნდა აღადგინოს ქართველი ხალხის შელახული ავტორიტეტი. ხოლო თუ როგორი თვალით შეგვხედავს უცხოეთის სახელმწიფოები, ამაზე ბევრად არის. დამოკიდებული საქართველოში ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრება და მისი კულტურული თუ ეკონომიკური სფეროების აყვავება, ერთი სიტყვით, ქვეყნის ხვალინდელი დღე! არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს მარადიული ფასეულობანი, არსებობს და ვერც ქუჩაში გამოდგმულ მაგიდებზე მოვათავსებთ სიგარეტისა და თუნდაც „სნიკერის“ ფირმის შოკოლადის გვერდით. სწორედ ამიტომაც ხაზგასმით მინდა გავიმეორო, მწერლობისა და ხელოვნების განვითარების უწყვეტი პროცესი კოოპერაციისა და საბაზრო ეკონომიკის კი არა, უფრო მაღალი კრიტერიუმებით უნდა ვარეგულირდეთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჭეშმარიტად დესკრატიული სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ სულიერად ამაღლებულ და ინტელექტუალურ ხალხს შეუძლია.

ზემოთ მე უკვე ვთქვი, ხალხის გარკვეული ნაწილი როგორ გახადეს გულგრილი ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. უფრო მეტიც, ადამიანები მტრულადაც კი განაწყვეს მწერლობისა და ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლებისადმი. ზოგიერთმა ფენამ მთლიანად აქცია ზურგი წიგნს, თეატრს, მუსიკას, მხატვრობას. შემდეგაც არ დააყოვნა, ისედაც რთულ პირობებში მშვენიერების, ზნეობრივი ნორმების, ამაღლებული, სულიერი ღირებულებების უარყოფამ ცეცხლზე ნავთი დასხა. საქართველო იქცა ღალატის, ძმათა ომის, ძარცვაგლეჯისა და არნახული სისასტიკით მკვლელობების არენად. როგორ გგონიათ, არ არის ეს ერის სულიერი დეგრადაციის დასაწყისი?

— თქვენ მაშინ ჰაინრიხ ბიოლის მშვენიერი ციტატა მოიტანეთ. ვფიქრობ, იგი შესანიშნავად გამოხატავს იმ დიდ როლს, ლიტერატურასა და ხელოვნებას რომ აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ხომ არ გაიხსენებდით ამ ციტატას?

გ.ფ. — საერთოდ, რაკი ჩვენი ინტერვიუს არცთუ უმნიშვნელო ნაწილი ძველად გამოთქმული აზრების გახსენებას ეძღვნება, რასაკვირველია, დღევანდელ დღესთან მიმართებაში, ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება ბიოლის სიტყვების შეხსენებაც. ეს ციტატა ალბათ ბევრი მკითხველისთვის გაზეთის ბევრი მკითხველისთვის. ... და აბათ მათ შორისაც იქნებიან ისეთები, ბოლომდე რომ არ აქვთ გათვითცნობიერებული მწერლობისა და ხელოვნების ზეგავლენა.

კერძოდ, ჰაინრიხ, ბიოლმა თქვა (მკითხველს ბოდიში უნდა მოვუხადო, რომ ციტატა ზუსტად ვერ მომაქვს. იგი რომელიღაც გაზეთში წავიკითხე, სამწუხაროდ, გაზეთი არ შევინახე. ისე კი, ვფიქრობ, პერიფრაზი საკმაოდ ზუსტი იქნება): ჩვენ, მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა, ჯერ კიდევ ვერ გავაგებინეთ მთავრობას, რამოდენა სამუშაოს ვასრულებთ. ისინიც და სხვებიც, ვინც ჩვენი შრომის ფასი არ იცის, კარგად რომ მივახვედროთ, დღევანდელი კაცობრიობის ცხოვრებაში რა წვლილი მიგვიძღვის ჩვენ, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გათენდა, ვთქვათ, ხვალინდელი დღე, არ გამოვიდა არცერთი გაზეთი, არცერთი ჟურალი, არ იყიდება წიგნები, არ მუშაობს რადიო და ტელევიზია. არ უჩვენებენ კინოფილმებს, დახურულია თეატრები, საკონცერტო დარბაზები. და აი, მაშინ, როცა მსოფლიოს თავზე ჩამოწვება საშინელი დუმილი, როცა დაიხშობა ინფორმაციის ყოველგვარი წყარო და გამეფდება სულიერი წყვდიადი, მხოლოდ მაშინ მიხვდებიან, რამოდენა და რა უმნიშვნელოვანეს სამუშაოს ვასრულებთ ჩვენ.

ვფიქრობ, სურათის უკეთ დახატვა აღარ შეიძლება.

— ბატონო გურამ, ოპონენტებს ხომ ყველა უფლება აქვთ თქვენ, რომ ძალზე ბევრი მდარე ხარისხის წიგნი გამოდის, იდგმება მდარე სპექტაკლები და ფილმები, იწერება მდარე სიმღერები, და, საერთოდ, მუსიკა...

გ.ფ. — მართალი ბრძანდებით, მაგრამ ამ პროცესს ვერ გავექცევით. აბა დავფიქრდეთ, შესანიშნავი ექიმებმის ან ინჟინრების გვერდით რამდენი არიან ჩვეულებრივი ექიმები და ინჟინრები; შესანიშნავი, მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსების გვერდით — რიგითი მუსიკოსები. ისინი რომ არ იყვნენ, ვინ დაუკრავდა ორკესტრებში? ჯერ სად არის, მაგრამ კიდევაც რომ იყოს, შეიძლება სიმფონიურ ორკესტრში ათი ლიანა ისაკაძე გყავდეს?! აბა გაიხსენეთ, თერთმეტი ფეხბურთელი რომ შეგვერჩია თბილისის დინამოსთვის, რესპუბლიკაში ფეხბურთი 300 ათას ბავშვს მაინც უნდა ეთამაშა! ერთია ლიტერატურული პროცესი და მეორეა — ვინ გაუძლებას დროს, მტკიცედ ვინ დამკვიდრებს ადგილს ქართულ ლიტერატურასა თუ ხელვნებაში. შემოქმედებითი პროცესის გაწყვეტა არაფრით არ შეიძლება. მწერლობისა და ხელოვნების უგულებელყოფით გამოწვეული უბედურება ისე დაკონკრეტებულად როდი გვხვდება თვალში, ვთქვათ, როგორც ენერგეტიკული კრიზისი ან რიგი პურის მაღაზიებთან. მას მთლიანობაში უნდა აღქმა და გაანალიზება.

— თქვენ, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რა ღონისძიებებს ატარებთ, რომ აღარ იყოთ დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე?

გ.ფ. — ძალიან ბევრი პრაქტიკული ნაბიჯი გადავდგით. მხოლოდ ერთ უმთავრესს მოგახსენებთ. გავიხსენოთ ბანკი „ნარიყალა“, მრავალი რთული საბანკო ფინანსური ოპერაციის შემდეგ შევძელით, რომ მოგვეგო საკმაოდ სოლიდური თანხა და პირველი პრაქტიკული ღონისძიებაც განვახორციელეთ. კერძოდ.

გაგრძელება მე-8 გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რევაზ შავიშვილი:

მიმდინარეობს სახელმწიფოს ტოტალური ძარცვა

(ინტერვიუ კონტროლის პალატის თავმჯდომარესთან)

— ბატონო რევაზ, უწინარეს ყოვლისა, რა ფუნქციები აქვს კონტროლის პალატას და რას აკონტროლებს?

— კონტროლის პალატა არის ქვეყანაში საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო. მას ეხება ნებისმიერი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან.

ფუნქცია კონტროლის პალატას ბევრნაირი აქვს: ბიუჯეტის შედგენისა და მისი ხარჯვის კანონიერება; კონტროლის პალატა ასევე უნდა ამოწმებდეს სახარჯთაღრიცხვო დისციპლინას მთავრობის, სახელმწიფო მეთაურის, პარლამენტის აპარატებში, რესპუბლიკის იურისდიქციაში მყოფ პრაქტიკულად ყველა საწარმოსა და ორგანიზაციაში.

მიუხედავად იმისა,რომ თავისი არსებობის რამდენიმე თვის განმავლობაში კონტროლის პალატამ ბევრი რამ გააკეთა, იგი პრაქტიკულად ვერ ასრულებს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას-კონტროლის დაწესებას საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობასა და კანონიერებაზე.

საამისოდ არ გვყოფნის თანამშრომლები. რაიონების ჩათვლით, საქართველოში ჩვენ სამასამდე თანამშრომელი გვყავს. ამ საშტატო განრიგით, კონტროლის ყველა ზემოთჩამოთვლილი ფუნქციის განხორციელება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

— საქართველოში დღეისათვის არსებობს საგადასახადო ინსპექცია, არსებობს ე.წ. „ობეხეესეს“-ი, არსებობს კონტროლის პალატა, რომელიც რამდენიმე თვის წინ შეიქმნა. საჭირო იყო კიდევ ერთი მაკონტროლებელი სამსახურის შექმნა? ხომ არ მოხდება მათი ფუნქციების აღრევა?

— კონტროლის პალატას 1992 წლის მარტში ჩაეყარა საფუძველი, ხოლო რეალურად საქმიანობას იგი ნისში შეუდგა.

როდესაც საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლი წარმოებს, ბუნებრივად ხდება ფუნქციების გადაკვეთა სხვა სამსახურებთან-საგადასახადო ინსპექციასთან და ყოფილ „ობეხეესესთან“. მაგრამ ამ უწყებებს შორის არსებითი განსხვავება არსებობს. ისინი კონკრეტულ სამინისტროებთან არსებობენ და ამ სამინისტროების დაქვემდებარებაში იმყოფებიან. გარდა ამისა ერთის (საგადასახადოინსპექციის) საქმეა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფა, ხოლო მეორისა — ოპერატიული სამსახური.

კონტროლის პალატის ფუნქციები კი გაცილებით უფრო ფართეა და იგი ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. ჩვენი უწყების ფუნქციაში შედის საკუთარი დასკვნების წარდგენა ამა თუ იმ უწყების, ან მისი ქვეგანყოფის ეფექტიანობის შესახებ.

რა თქმა უნდა, ეს ორგანო უნდა არსებობდეს საქართველოში და მისი შექმნა აუცილებელი იყო. და ვერც ერთი ქვეყანა ვერ იარსებებს კონტროლის სრულყოფილი სამსახურის გარეშე. ყველა ქვეყანაში არსებობს კონტროლის უმაღლესი ორგანოები, მათ საერთაშორისო გაერთიანებას ეწოდება „ინოსტაი“ და ჩვენ ამ ალიანსის წევრები ვართ.

— გაქვთ, თუ არა დღევანდელობისათვის შესაფერისი სამართლებრივი ბაზა?

— არა გვაქვს. ჩვენ ჯერჯერობით დროებითი დებულების საფუძველზე ვმოქმედებთ. კანონპროექტი კონტროლის პალატის შესახებ მომზადებული გვაქვს და უახლოეს დღეებში პარლამენტს განსახილველად წარვუდგენთ.

— ბუნებრივია, რამდენიმე თვის წინ შექმნილ და კვლავაც ფორმირების პროცესში მყოფ უწყებას ბევრს ვერაფერს მოსთხოვს კაცი, მაგრამ რა შედეგები გაქვთ დღეისათვის?

— მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რაც კონტროლის პალატის წინაშე დგას ჩვენ ცოტა რამის გაკეთება მაინც შეეძელით. გასული წლის შვიდ თვეში კონტროლის პალატის მიერ გამოვლენილია ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოსაღები 2,5 მილიარდი მანეთი, აქედან ერთი მილიარდი უკვე შესულია ბიუჯეტში. ეს მაშინ, როცა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, გასულ წელს, დაახლოებით 15 მილიარდი მანეთი იყო. მიმდინარე წლის იანვრის არასრული მონაცემებით კიდევ დამატებით 700 მილიონის გამოვლენაა. ყოველივე ეს წარმოუდგენელი ეკონომიკური განუკითხაობის მაჩვენებელია. საქართველოში დღეს სახელმწიფოს ტოტალური ძარცვა მიმდინარეობს. ზემოხსენებული თანხები ჩვენ დაახლოებით ცხრაასი საწარმოსა და ორგანიზაციის შემოწმება-რევიზიის დროს ამოვიღეთ და ვერ შევძელით ათობით ათასი ობიექტის შემოწმება. ახლა მკითხველმა წარმოიდგინოს, თუ რამდენ თანხას ამოვიღებდით, ყველა საწარმოს კონტროლი რომ შევძლოთ.

— პროფესიონალიზმის მხრივ როგორ არის საქმე კონტროლის პალატაში?

— კონტროლის პალატა, ისევე როგორც ნებისმიერი უწყება, საზოგადოების ანარეკლს წარმოადგენს. ჩვენთან არიან ძალიან მაღალი კვალიფიკაციის ადამიანები და არიან ისეთებიც, რომელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს. ამ უკანასკნელში არიან ისეთები, რომელთა კვალიფიკაციის ამაღლება შეიძლება, მაგრამ არიან ისეთებიც, განსაკუთრებით რაიონებში, რომლებიც ვერ ართმევენ თავს საქმეს. ჩვენ ასეთ ხალხს, რა თქმა უნდა, დავემშვიდობებით. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვაპირებთ შეექმნათ შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც კადრებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს შეისწავლის, რათა არ მოხდეს ისე, რომ საქმის შეუსწავლელად ადამიანი ქუჩაში აღმოჩნდეს.

— დაბოლოს. ბატონო რევაზ, თქვენ ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი ბრძანდებით, საზოგადოება გიცნობთ პოლიტიკური და კანონშემოქმედებითი მოღვაწეობით. მოსალოდნელი იყო, რომ პარლამენტშიც გააგრძელებდით საქმიანობას ამ კუთხით. თქვენ კი აღმასრულებელი ხელისუფლება არჩიეთ. რატომ?

—კონტროლის პალტა არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი. იგი უბრალოდ უმაღლესი საფინანსო-ეკონომიკური მაკონტროლებელი ორგანოა და მის კონტროლს, ამ კუთხით სხვათაშორის, აღმასრულებელი ხელისუფლებაც ექვემდებარება. რაც შეეხება თუ რატომ ვარ აქ და არა პარლამენტში.

ჩემი კანდიდატურა კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებულ იქნა მაშინ, როცა ეს უწყება იქმნებოდა. როდესაც წინადადება მივიღე, ვითხოვე დრო მოსაფიქრებლად და საქმეში გასარკვევად.

ათდღიანი მუშაობის შემდგომ მე კატეგორიული უარი განვაცხადე და ამისათვის ორი მთავარი არგუმენტი მქონდა. პირველი — მიმაჩნია, რომ ეს პოსტი უნდა ეკავოს ძალიან მაღალი დონის ეკონომისტს, ან სამეურნეო სამართლის სპეციალისტს.

მეორე — მე არასდროს მიხელმძღვანელია თუნდაც ორკაციანი სახელმწიფო სტრუქტურისათვის. ეს არგუმენტები დღემდე არსებობს. და თუ დღეს მე მაინც ვიმყოფები კონტროლის პალატის ხელმძღვანელის პოსტზე, უნდა ვივარაუდოთ,რომ სახელმწიფო მეთაურს აღმოაჩნდა უფრო ძლიერი კონტრარგუმენტები.

ესაუბრა

კოგალიკლიკაძე

მოდი, ვნახოთ კლუბი...

ბახსოვთ ალბათ, მოარული თქმა, „რუსები მთელ წელიწადს მუშაობენ, რომ მერე ერთი თვე სადმე დაისვენონ, იმოგზაურონონ“.

* * *

ამ „სადმე“-ში ხშირად საქართველო იგულისხმებოდა.

* * *

დიახ, უყვარდათ რუსებს საქართველო, მისი მთა და ველები (აღარაფერს ვამბობ ჩვენთვის შავ და მათთვის ლაჟვარდოვან ზღვაზე, დღესაც ასერიგად რომ არ ეთმობათ, განსაკუთრებით აფხაზეთში)...

* * *

და მოდიოდნენ ახლო და შორეული ქალაქ-ხუტორებიდან, ტრამალებიდან, ტაიგიდან...

სად, საქართველოს რომელ კუთხეში არ ნახავდით მზემონატრებულებს...

* * *

მოგზაურობა მზემობეზრებულ ქართველებსაც უყვართ. საზღვარგარეთ, რასაკვირველია. ათენ-სინგაპურ-სტამბოლისაკენ გახაზირებულები ვერ ახერხებდნენ მცხეთა-ხევსურეთში ჩარბენა-არბენას... და მიჰყვებოდა ბევრს საფლავში ვერნანახი სვეტიცხოვლისა და ბორჯომ-პარკის დარდი...

ყოველივე ამ (და არა მარტო ამ) მიზეზთა გამო, მოხდა ისე, რომ საქართველოში, „ტურიზმის ქვეყანაში“ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ტურიზმშიო და ტურისტებში „აქედან-იქით“ (საქართველოდან უცხოეთში და პირიქით) წასვლა-მოსვლა და წამსვლელ-მომსვლელები მოიაზრება.

თუნდაც უცხო სიტვათა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი: ტურიზმ-ი (ფრანგ. TOURISME)— მოგზაურობა ამა თუ იმ მხარის ქვეყნის გაცნობისა და დასვენების მიზნით; სპორტის სახე-მოგზაურობა, ლაშქრობა ფეხით, ველოსიპედით, თხილამურებით და სხვა.

როგორც ვხედავთ, ტურიზმი თურმე არა მარტო უცხო, არამედ შენი ქვეყნის ამა თუ იმ მხარის გაცნობასაც, ამ მხარეში მოგზაურობასაც ნიშნავს! და თქვენ წარმოიდგინეთ, სპორტის სახეც ყოფილა!

* * *

არადა, მე შენ გეტყვი, ჩვენში ჯერ კიდევ შემორჩენილი ბუნება, კურორტები, ალაგ-ალაგ მართლაც ლაჟვარდოვანი ზღვა, დინამიტმიუკარებელი მთები, ბოლომდევერგამოხშირული ტყეები არ იძლეოდა და იძლევა შინაური ტურიზმის არსებობის საშუალებას.

* * *

მთლად არაფერი კეთდებოდა ამ მხრივ-ამის თქმაც არ შეიძლება.

ჩვენებური ტურისტებიც მოგზაურობდნენ ჩვენში...

ამ საქმეს ემსახურებოდა —ჯერ პროფკავშირებთან არსებული საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო რესპუბლიკური საბჭო-შემდეგ ტურიზმისა და სპორტის სამინისტრო.

საკმარისია ითქვას, რომ 80-იან წლებში არსებობდა 90-ზე მეტი ტურისტული მარშრუტი, რამდენიმე საექსკურსიო ბიურო, უამრავი ტურისტული სასტუმრო და ბაზა...

დიახ, ეს ყველაფერი იყო, იყო...

* * *

ამჟამად ამგვარი (შინაური) ტურიზმის სფეროშიც, რასაკვირველია, ისეა საქმე, როგორც ყველა სხვა სფეროში.

და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს, ბენზინოდეფიციტ-ინფლაციურ-თურქეთომანიურ-კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავებისას ჩვენში ტურისტული მოგზაურობა კი არა, უბრალო მიმოსვლაც გაჭირდა. ამ ობიექტურ მიზეზებს ერთი სუბიექტური მიზეზიც დაემატა.

მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრობით.

* * *

ზემოთ აღნიშნული 97 გამსვლელი მარშრუტიდან ბევრი თბილისში იწყებოდა. ამ საქმეს კი სათავეში ედგა ქ. თბილისის საქალაქო ტურისტული კლუბი.

თუ რამე კეთდებოდა ჩვენში შინატურიზმის ხაზით, კერძოდ, თბილისელთა გაყვანისათვის ქალაქგარეთ, შშობლიურ ბუნებასთან მათი მიახლოებისათვის, ისტორიულ ძეგლებთან მიახლებისათვის — ძირითადად ამ კლუბის მეშვეობით კეთდებოდა.

ვინ იცის, 1962 წლიდან მოყოლებული, — მას შემდეგ, რაც ეს კლუბი შეიქმნა, — რამდენი ჯგუფი, რამდენი ადამიანი გაუყვანიათ კლუბის თანამშრომლებს საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში (კლუბს ხომ 52 მარშრუტი აქვს დამუშავებული)...

მაგრამ სანამ ადამიანებს წაიყვანდა, ამ „წასაყვანებს“ კლუბის ინსპექტორ-მეთოდისტები წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლექციებს უტარებდნენ“, ათასჯერ გაგონილს „ადგილებზე“ ერთხელ ნახვა სჯობიაო...

ერთი სიტყვით, კლუბი მუშაობდა, მართლა კარგ საქმეს აკეთებდა...

მაგრამ...

საქართველოში დაიწყო „პარტიობია“ და ბევრმა პარტიამ დაადგა თვალი ქალაქის ცენტრალურ უბანში, დავით აღმაშენებლის №5-ში, განთავსებულ კლუბის მშვენიერ, კაპიტალურ, ფართო შენობას...

* * *

„პარტიობიას“ კი გადაურჩა, მაგრამ, აი, დაიწყო „ბანკობია“ და... ქ. თბილისის მერიის 1992 წლის 30 ოქტომბრის №1430 განკარგულებით კლუბის შენობა გადაეცა სააქციო-კომერციულ ბანკ „თბილისს“ და ჭურთ მოქალაქეთა საზოგადოებას იეზიდური რელიგიური ცენტრის (სამლოცველოთი) მოსაწყობად.

როგორც ჩვენშია მიღებული, კლუბის თანამშრომლებმა ეს „სასიხარულო ამბავი“ მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა შენობის ახალი მეპატრონეები ორდერებით მიადგნენ და მისი დაცლა მოსთხოვეს.

ძალიანაც არ უნდოდათ, მაგრამ, ძალა აღმართს ხნავს და დაცალეს....

დარბის იმის შემდეგ ტურისტული კლუბის დირექტორი გენადი მაჭარაშვილი ერთი ინსტანციიდან მეორეში, მეორედან მესამეში, მესამედან პირველში და ა.შ.

რა დაგიკარგავს, რას ეძებ!...

ფელიქს კოჭიაშვილი

სიტყვა სოლომონ ხუციშვილზე

(დაბადებიდან 85 წლისათვის გამო)

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ სოლომონი!.. ჩვენი ინტელიგენციის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა! კოლორიტული გარეგნობით, ბუნებით, აზრის მოძრაობით, საუბრის მანერით, ხმის ტემბრით, ერთი სტყვით, იგი განუმეორებელია!

ნახევარსაუკუნოვანი ახლო ურთიერთობა მაქვს, დრო გადის, ბატონო სოლომონი კი უცვლელია; არ შეუცვლია ცხოვრების აზრი, მიზნები, ურთიერთობები ადამიანებთან, კოლეგებთან, ახალგაზრდობასთან...

მისი სატრფო ისევ ისაა, საქართველო. ჩვენც ყველას გვიყვარს იგი, მაგრამ მისი სიყვარული სხვაგვარია;

მე მისგან ვგრძნობ დიდ წინაპართა ფიქრსა და აზრს სამშობლოზე, მისგან განვიცდი ძველი ინტელიგენციის მამულიშვილობას, სიწმინდეს, მაღალ იდეალებს, ნამდვილ ზრუნვას ადამიანებზე, ადამიანის ნამდვილ სიყვარულს. ბატონი სოლომონის სახით მე წარმოვიდგენ ძველ ქართველ ინტელიგენტს, მის მასწავლებლებს (ერეკლე ტატიშვილს, მიხეილ ზანდუკელსა და ვახტანგ კოტეტიშვილს...), რომელთა ტრადიციებზე და მაგალითებზე ჩამოყალიბდა ეს ერუდირებული, თავისი ხალხისათვის თავდადებული სულით გაუტეხავი პატრიოტი და უკომპრომისო პიროვნება. იგი ჩემს ცნობიერებაში შემაერთებული „ხიდია“ ძველსა და ახალ თაობებს შუა.

* * *

85 წელი ცოტა როდია, მაგრამ მაინც არ გინდა მის შესახებ იხმარო სიტყვები: „უხუცესი“, „მხცოვანი“... იგი მაინც ფორმაშია...

რამდენიმე ათეული წლის სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობით დამძიმებული სამასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია; ათეული დასახელების წიგნების, მონოგრაფიების, ლიტერატურული პრობლემების, პორტრეტების, პოლემიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების, სამეცნიერო-პედაგოგიურ გზაზე გამოყვანილი ათასობით სტუდენტი-ახალგაზრდის გზაზე დამყენებული ისევ ფორმაშია და ხშირად შეგხვდებათ აჩქარებული ნაბიჯით მიმავალი ჭავჭავაძის პროსპექტიდან რუსთაველის მიმართულებით თბილისის უნივერსიტეტში ლექციების ჩასატარებლად, მწერალთა სახახლეში, რედაქციებში, მუზეუმებსა თუ არქივებში სამუშაოდ: სად გამომცემლობას უნდა მიაკითხოს, სად ახალი მასალა უნდა მოიპოვოს, სად თარიღი უნდა გადაამოწმოს, სად წერილი დატოვოს, სად კიდევ ლიტერატურული საღამოს უნდა უხელმძღვანელოს, სად ვინმე გაჭირვებულს უნდა უშუამდგომლოს და ჭირი შეუმსუბუქოს...

ეროვნული მოძრაობის წლებში ხომ ვერ ისვენებდა, ახალი ენერგიით დაიმუხტა, მიტინგიდან მიტინგზე მიეჩქარებოდა, რომ თავისი ბრძოლის პათოსით გამსჭავლული ნათელი, შორს გამეზნული სიტყვა მიეშველებინა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მშობლიური ხალხისათვის: შემთხვევითი არ იყო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაზე თავისუფალი საქართველოს დროშის აღმართვა სწორედ მას ხვდა წილად...

ბატონი სოლომონი ინტელიგენტია, მაღალი კულტურის და ტაქტის კაცი, მაგრამ დემოკრატიც.

ეს ადვილი ნურვის გონია. მას არ ეშინია „გაითქვიფოს“ მასაში და არა იმიტომ, რომ გაურბის დემოსს...

პირიქით, ნამდვილი ხალხოსანია; მისი ლექცია უნივერსიტეტის კედლებში არ მთავრდება, მზად არის მთელი ცხოვრების გზაზე გიხელმძღვანელოთ, შეგაშველოთ ცოდნა, თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა, გამოცდილება...

მე პირადად, ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა მაკავშირებს ბატონ სოლომონთან და ვიცი, რომ ეს მეგობრობა ყოფილი სტუდენტისა და ლექტორის, უფროსისა და უმცროსის, ღვაწლმოსილი მეცნიერის, მასწავლებლისა და შეგირდის მეგობრობაა!

ასეთია მისი ყოფილი სტუდენტისა და მეგობრის თვალში ბატონი სოლომონი.

პროფესორი
დავით თევზაძე

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ჩვენს ძვირფას მასწავლებელს, ბატონ სოლომონ ხუციშვილს დაბადებიდან 85-ე წლისთავს.

კლავაც დიდხანს გევლოთ თქვენს მშობლიურ მიწაზე, ღირსეულო მამულიშვილო!

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

მანეთი არ გასამმაგებულა, ანუ ჩვენი დროის აშორდიები

ᲑᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ცნობილია, მაგრამ მათთვის, ვინც არ იცის, ვიტყვით, რომ ძმები აშორდიები გასულ საუკუნეში თავად-აზნაურთა ყალბ სიგელებს ამზადებდნენ და კაი გვარიან ფასადაც ჰყიდდნენ მსურველებზე. მას მერე აშორდიას გვარი, როგორც აფიორის დიდოსტატისა, ფრთიან გამოთქმად იქცა, გალქტიონმაც ახსენა იგი თავის ცნობილ პალინდრომში —

„აი, დროშა აშორდია...
აირევი ივერია“.

და ამჟამადაც, ჩვენს არეულ ივერიაში, როცა წესრიგი ირღვევა ყველგან, ,ყოველ ფეხის ნაბიჯზე და როცა არავინაა განმკითხავი — ვინ რას აკეთებს და რასაც აკეთებს, კანონიერია თუ არა, ახალი დროის აშორდიებს (გნებავთ კვაჭი კვაჭანტირაძეებს, თუნდაც ოსტაპ ბენდერებს) თავიანთი შესაფერისი ნიადაგი უნახავთ, დაუარსებიათ შეზღუდული პასუხისმგებლობისა და მრავალი მოქალაქისათვის გაურკვეველი საქმიანობის ფირმები „მარინა“ და „იმედი“, თანამოქალაქეებს დაპირებიან, რომ შეტანილ თანხას თვე-ნახევარში, მაქსიმუმ ორ თვეში, სამმაგად დაუბრუნებდნენ.

და თავიდან მართლა გასამმაგებულად აბრუნებდნენ თურმე. გავარდა ხმა და მიაწყდა ხალხი, შეჰქონდათ სხვადასხვა თანხა და სანაცვლოდ პატარა ოთხკუთხა ფურცელზე დაწერილ გაურკვეველი ხელმოწერების, ერთობ საეჭვო „ჩეკებს“ ღებულობდნენ, რომლებიც თავდაპირველად უბეჭდო იყო, მაგრამ მერე და მერე ბეჭედსაც არტყამდნენ იმ ფურცლებს, რაც მთლად საეჭვოდ აღარ ეჩვენებოდა ბევრს, და შეჰქონდათ და შეჰქონდათ, საიმედოდ ინახავდნენ იმ ეგრეთწოდებულ „ჩეკებს“, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ გამდიდრდებოდნენ.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ზემოთნახსენებ ფირმათა პრეზიდენტ აშორდიებს ვირის აბანოში ამოაყოფინეს თავი, რამდენიმე ათეული მილიონი აღმოაჩნდათ აღებული, და, მართალია, ნაწილი ამოიღეს, უკან დაუბრუნეს შემტანებს, მაგრამ დარჩენილი ნაწილი არსად არ ჩანს დღესაც.

ჰოდა, ახლა ეს ჩვენი მოტყუებულ-გაცუცურაკებული თანამოქალაქენი პარლამენტის შენობასთან იკრიბებიან ყოველ დილით, ხელისუფლებისაგან მოითხოვენ დახმარებას, რათა უკან დაუბრუნდეთ თავიანთი შეტანილი ფული. დადიან, წუხან, ბჭობენ, ოხრავენ, და არიან ასე. ერთ-ერთ პარლამენტის წევრს უთქვამს, მთავრობას რა შეუძლია, თქვენ თვითონ იმოქმედეთო და გაკვირვებულნი კითხულობენ, რა ვქნათ სახლები გადავწვათ თუ ნათესავები გავუწყვიტოთ ბოლოს და ბოლოსო. ზოგი მათგანი ვიღაც ცილსდრიანი კაცისკენ იყურება დაეჭვებული, იმათ შორიახლოს რომ ტრიალებს. თურმე ეს პიროვნება ირწმუნება, რაც ამოიღეს, ის თანხა მე მომეცით, საქონელი მაქვს და იმის საბრუნებლად ფული მჭირდება, დავატრიალებ თქვენს ფულს, მეც მოვიგებ და თქვენც გასამმაგებულად დაგიბრუნებთ თქვენს შენატანსო. როგორც ის აფერისტები გპირდებოდნენო. და ამათაც აღარ იციან, ველარ გაუგიათ, დაუჯერონ თუ რა ქნან, ვიღას მიმართონ. დგანან და ელიან.

იქვე დაიარება ამ ხალხის მიერ არჩეული კომისიის წევრი და დაინტერესებულ კაცს ზოგიერთ მონაცემებსაც გაცნობთ — ერთ ფირმას დასაბრუნებელი ჰქონია 166 მილიონი, მეორეს — 38 მილიონი.

იმასაც ამბობენ,მილიციის სამმართველოში სიები უნდა იყოს, და იმის მიხედვით დაგვირიგდება ფულიო. თურმე სულ თოთხმეტი ათასი მოქალაქეა ასე მოტყუებული.

და სხვათა შორის, იმათ ლაპარაკს კიდევ თუ დაუგდებთ ყურს, იმასაც დაადგენთ, რომ ამგვარი ფირმები თბილისის მხოლოდ ერთ რომელიმე რაიონში კი არა, უკვე რამდენიმე რაიონში მოქმედებს. რაღა დასამალია და, საკმაო წარმატებითაც. თუმცა ისიც მოსალოდნელია, რომ საქმიანობის მიმართულება შეცვალონ — ძალიან ცნობილი გახდა ეს ამბავი.

ასე რომ, ახალი დროის აშორდიათა (გნებავთ კვაჭი კვაჭანტირაძეთა, თუნდაც ოსტაპ ბენდერთა) აზრის გაქანებას და ფანტაზიას არა აქვს საზღვარი, შემდეგში ალბათ უფრო უკეთესს მოიფიქრებენ და ჩვენც უნდა გავფრთხილდეთ, ასე ავჯობებს ჩვენთვისაც და მათთვისაც...

მიხო მოსულიშვილი

რეკლამისა და განცხადებების მსურველთა საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ ჩვენი გაზეთი მზადაა გამოგიქვეყნოთ რეკლამა ან განცხადება ყველაზე იაფ, ნამუსიან ფასებში. რეკლამები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო პროდუქცია თავს არ მოსჭრის არც რეკლამის ავტორებსა და არც მის გამომქვეყნებლებს.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

გაგრძელება

„ლიტერატურული საქართველოს“ ნომრის ჰონორარი იყო 10 ათასი მანეთი. ჩვენ თითოეულ ნომერზე დავუმატეთ 40 ათასი მანეთი. „ცისკრის“ და „განთიადის“ თითოეულ ნომერზე — 30—30 ათასი მანეთი, „საუნჯე 25 ათასი, ხოლო „ლიტერნატურნაია გრუზიას“ 15 ათასი მანეთი, ვფიქრობთ, მესამე კვარტლისათვის კვლავ გავზარდოთ ჰონორარები. წელსვე შევძლებთ ჩვენს მიერ მოპოვებული თანხით, შევიძინოთ ოცი მილიონი მანეთის პოლიგრაფიული მასალა. დავაარსეთ აკაკი წერეთლის ორი პრემია, თითოეული 100 ათასი მანეთის ოდენობით. აგრეთვე მრავალი სხვა სახის პრემია.

— ნება მომეცით, ლიტერატურიდან კვლავ ენერგეტიკულ პრობლემებზე გადავიდეთ. თქვენ ძალიან დიდი ხნის წინ გამოაქვეყნეთ წერილი, სადაც მხარს უჭერდით საქართველოში ატომური ელსადგურების მშენებლობას. სულ რამდენიმე თვის წინ, კერძოდ, გასული წლის სექტემბერში კი სასტიკად გაილაშქრეთ ერევნის ატომური ელსადგურის აშენების წინააღმდეგ, და ღია წერილი გაუგზავნეთ სომეხ მწერლებს. რით იყო გამოწვეული ყოველივე ეს?

გ.ფ. ძალიან გამიხარდა, რომ ეგ შეკითხვა მომეცით. არა ერთმა და ორმა დამირეკა და არა ერთი და ორი წერილი მომივიდა, სადაც მკაცრად მსაყვედურობდნენ, ეს წერილი რამ დაგაწერინაო. მხედველობაში ჰქონდათ ჩემი 1986 წელს გამოქვეყნებული წერილი „ადამიანი, ენერგია, ატომი“. თავშივე მინდა განვაცხადო, ჩემი წერილის პათოსი იყო ხალხი დამერწმუნებინა, რომ ატომურ ელექტოსადგურებს კარგი ცხოვრების გამო არ აშენებენ. არ ავაშენებთ ჩვენ, ააშენებენ სხვები. ამით საერთო სურათი და სიტუაცია არ შეიცვლება! ყველა ქვეყანაში კარგად იციან, რა არის ატომური ელექტროსადგური. ისიც კარგად იციან რას ნიშნავს მოახლოებული ენერგეტიკული კრიზისი.

დღესდღეობით მსოფლიოში რამდენიმე ასეული რეაქტორი მუშაობს. იაპონიაში, სადაც მიწისძვრა ჩვეულებრივი ამბავია, ორმოცდაერთი ატომური ელექტროსადგურია. ადამიანებს უნდათ თუ არ. უნდათ, ეშინიათ თუ არ ეშინიათ, ატომურ ელექტროსადგურებს კვლავაც ააშენებენ მანამ, სანამ არ დაიმორჩილებენ ენერგიის სხვა სახეობებს. ტრადიციული სახეობები კი აშკარად აღარ ჰყოფნის კაცობრიობას. ვარაუდობენ, რომ 2000 წლისათვის კაცობრიობას წლიურად დასჭირდება 50 ტრილიონი კილოვატსაათი. ჰიდროელექტოსადგურები კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიმუშავებენ ამდენ ენერგიას, რადგან მსოფლიოს ჰიდროენერგეტიკული რესურსები მხოლოდ 8 ტრილიონი კილოვატსაათია.

თბოელექტოსადგურებისათვის საჭიროა ორგანული საწვავი, რომელიც ულევი როდია მსოფლიოში... ვარაუდობენ, რომ საუკუნის ბოლოს ამოწურული იქნება ნავთობის მარაგის 87 პროცენტი, ხოლო ქვანახშირი კაცობრიობას ეყოფა კიდევ 150 წელიწადს. ორგანული საწვავის წილად კი დღესდღეობით მოდის ელექტროენერგიის 80 პროცენტი. მთელი სიმძაფრით დგება საკითხი, რამ უნდა შეცვალოს ორგანული საწვავი?

გურამ ფანჯიკიძე: არა გვაქვს შეცდომის უფლება!

ამ დიდი პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა, ჯერჯერობით, მხოლოდ ატომური ელექტროსადგურებია.

სამწუხაროდ, ყოფილი საბჭოთა კავშირი, მით უმეტეს, დღევანდელი დაშლილი იმპერიის ცალკეული სახელმწიფოები, არ ყოფილან და რაც არიან მზად ატომური ინდუსტრიისათვის.

როგორ შენდებოდა ატომური ელექტროსადგურები ყოფილ საბჭოთა კავშირში? უპასუხისმგებლოდ, უხარისხოდ, უსაფრთხოების სათანადო ღონისძიებებისა და მექანიზმების გაუთვალისწინებლად. საყოველთაო შეშფოთებას იწვევს გერმანელ სპეციალისტთა აზრი იმის თაობაზე, რომ ევროპულ სახელმწიფოებს საფრთხეს უქმნის სსრკ-ში დამზადებული რეაქტორები, რომლებითაც აღჭურვილნი არიან ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის ატომური ელექტროსადგურები. როგორც გაზეთი „ტერრენშაუ“ წერს, „ექსპერტიზის დასკვნით, ეს რეაქტორები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს და მათი მუშაობისას დასავლეთის რეაქტორებთან შედარებით 200-ჯერ მეტია ავარიის შესაძლებლობა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ სპეციალისტთა აზრით, ამ რეაქტორების მოდერნიზაციაც კი შეუძლებელია“.

არანაკლები პრობლემაა კადრების, იმ მეცნიერების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა თუ თანამშრომლების საკითხი, ატომურ ელექტროსადგურებს რომ ემსახურებიან.

ამიტომ, ატომური ელექტროსადგურების ფართო ქსელი მრავალ და ძნელად გადასაჭრელ პრობლემათა შორის რამდენიმე ურთულეს პრობლემას აყენებს კაცობრიობის წინაშე.

პირველი: დღეს მეცნიერება და ტექნიკა საშინელი სისწრაფით მიდის წინ. თანმიმდევრულად მისდევს თუ არა მის წინსვლას ადამიანის ფსიქოლოგიური მომზადება ცხოვრების ახალი პირობების ასათვისებლად?

ბუნებრივია, სასურველია, რომ ადამიანის ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალური დამოკიდებულება თუ ოდნავ წინ არ გაუსწრებს, არ ჩამორჩებოდეს მაინც მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი ვეღარ იბატონებს მის მიერვე შექმნილ ტექნიკურ საოცრებებზე, მოხდება პირიქით, თვით ტექნიკა იბატონებს თავის შექმნილ კაცობრიობაზე.

რამდენად მომზადებული გვყავს კადრები, იმუშაონ ისეთ აპარატურასთან, რომლითაც უნდა მართონ ატომურ რეაქტორში მიმდინარე ურთულესი პროცესები? რამდენად აქვთ გაანალიზებული და შესისხლხორცებული ყველა ის საშიშროება, რაც შეიძლება მოჰყვეს ავარიას რეაქტორში?

აი, რას წერდა „პრავდაში“ ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. პეტროსიანცი: „ატომური ელექტროსადგურების რიცხვი იზრდება და მომავალშიც გაიზრდება. ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ პრაქტიკულად ამოუწურავი ატომური ენერგია. მაგრამ ამასთანავე უნდა გაიზარდოს იმ სპეციალისტების რაოდენობა, რომლებიც მოესახურებიან ატომურ ელექტროსადგურებს. საჭიროა პერსონალს ჩავუნერგოთ რეაქტორის მართვის საიმედო პრაქტიკული ჩვევები, მათ შორის კრიზისულ სიტუაციაში მოქმედების ჩვევებიც, როცა სწორი გადაწყვეტილების მისაღებად შეიძლება მხოლოდ წუთები იყოს ჩვენს განკარგულებაში“. („პრავდა“, 31.VII.86).

მეორე დიდი პრობლემაა დამცავი ტექნოლოგიის შექმნა.

აი, რას წერდა „იზვესტიაში“ აკადემიკოსი ვ.ლეგასოვი: „მძლავრი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილმა ადამიანმა ახლა დაიწყო ფიქრი, როგორ დაიცვას თავი ამ საფრთხისაგან, ახლა ბრძოლა იმისათვის კი არაა საჭირო,რაც უკვე აფეთქდა დღეს ან აფეთქდება ხვალ, საჭიროა, ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ: აუცილებლად უნდა ვიბრძოლოთ დამცავი ტექნოლოგიის შესაქმნელად, რომელიც ადექვატური იქნება იმ სიმძლავრისა, ადამიანს რომ მივეცით ხელში. ეს საერთო პრობლემაა მთელი მსოფლიოსათვის“.

(„იზვესტია“, 23.I.1986).

ამ გამონათქვამიდან შეიძლება გამოვიტანოთ სამწუხარო დასკვნა, რომ ავარიების შედეგების თავიდან ასაცილებლად არ გვქონია სათანადო დამცავი ტექნოლოგია.

მესამე უმთავრესი პრობლემა, როგორც უკვე ვთქვით, არის მშენებლობის ხარისხი.

სამწუხაროდ, არც აქ გვქონია საქმე კარგად, აი რას წერდა ა. პეტროსიანცი „პრავდაში“: „ახლა, რაკი სიტყვა ხარისხზე ჩამოვარდა, კიდევ ერთი თავისებურება უნდა აღინიშნოს ატომური ელექტროსადგურებისა — განსაკუთრებით საიმედო უნდა იყოს მათი არა მარტო რეაქტიული, არამედ ელექტროტექნიკური აღჭურვილობაც“! და, აი ეს აღჭურვილობა, რომელსაც უშვებენ ენერგომანქანათმშენებლობის ქარხნები, ყოველთვის არ დგას ხოლმე სათანადო სიმაღლეზე“.

დამეთანხმებით, ალბათ ბატონო ფელიქს, რომ აქ ამხანაგი პეტროსიანცი. უბრალოდ, თავაზიანობის გამო არ ამბობს ეს აღჭურვილობა უვარგისიაო და უფრო რბილი გამოთქმით კმაყოფილდება, ყოველთვის არ დგას ხოლმე სათანადო სიმაღლეზეო!

ატომური ელეტროსადგურების მშენებლობას, როგორც უკვე ვთქვით, მსოფლიო ვერ აიცილებს თავიდან. ამასთანავე, იციან რა ის საშინელება, ატომური ელექტროსადგურის აფეთქებას რომ მოჰყვება, შექმნეს საერთაშორისო ორგანიზაცია „თერმობირთვული უსაფრთხოების კომიტეტი“, რომლის პირველსავე სხდომაზეც შემუშავდა საინტერესო პროექტი „არქიმედი“.

ამ პროექტში სამი მნიშვნელოვანი მომენტია საგულისხმო:

1. უნდა შეიქმნას გლობალური სეისმური სადგურები. დღემდე ასეთი სადგურები იყო მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპაში.

2. ასევე უნდა მიმდინარეობდეს მეტეოროლოგიური კვლევა გლობალური მასშტაბით.

3. და ბოლოს, უნდა ხდებოდეს დედამიწის ქერქის ელექტრომაგნიტური ზონდირება.

ადვილი მისახვედრია, რა დიდ პრობლემას შესჭიდებია სომხეთის მთავრობა. ისიც არაა ძნელი მისახვედრი, რა ურთულესი, თითქმის გადაუჭრელი პრობლემების წინაშე გვაყენებს ერევნის ატომური ელექტროსადგურის ამუშავება ჩვენ.

როგორც პრესიდან ვიცით, ამ ორ-ნახევარი წლის წინ ერევნის ატომური ელექტროსადგურის ამუშავებისათვის 650 მილიონი მანეთი იყო საჭირო. წარმოვიდგინოთ, რა დაჯდება მისი ამოქმედება დღეს! აღარაფერს მოგახსენებთ ათჯერ და ასჯერ მეტ თანხაზე, რომელიც საჭირო იქნება უსაფრთხოების დამცავი მექანიზმების შესაქმნელად.

მინდა შეგახსენოთ ისიც, რომ ძალზე საშიშია ატომური საწვავის ნარჩენები. ამ ნარჩენებიდან 90 პროცენტი 30 წელიწადს ინარჩუნებს რადიაქტიური გამოსხივების უნარს, ხოლო დანარჩენი 10 პროცენტი გაცილებით ძლიერი და ხანგრძლივი მოქმედების რადიაციისა.

ატომური საწვავის ნარჩენები იგზავნებოდა რუსეთის შორეულ რაიონებში განლაგებულ რადიოქიმიურ ქარხნებში, სადაც ხდებოდა მათი გადამუშავება, ამ ქარხნებში მიღებული ნარჩენები კი თავსდება ჰერმეტულ კონტეინერებში და იმარხება მშრალ მაღაროებში ან მარილის საბადოებში.

დღეს რა უნდა უქნან ერევნის ატომური ელექტროსადგურის თანამშრომლებმა ამ ნარჩენებს? სად წაიღებენ ან სად დაამუშავებენ მას? თანაც ისიც ხომ უნდა წარმოვიდგინოთ, დღევანდელი სარკინიგზო ომისა და მთელი ყოფილი საბჭოეთის გზებზე გაჩაღებული ძარცვა-გლეჯის პირობებში როგორ მოხდება ატომური საწვავის ნარჩენების ტრანსპორტირება?

რამდენად არის სომხეთი მზად დამოუკიდებლად მოემსახუროს ატომურ ელექტროსადგურს? როცა თვით ყოფილ უზარმაზარ იმპერიას არ შესწევდა ძალა და უნარი, მომზადებინა სათანადო კადრები ამ ურთულესი მეცნიერულ-ტექნიკური დარგისათვის, რამდენად შესძლებს პატარა რესპუბლიკა გადაჭრას ეს პრობლემა?

ღმერთმა დაგვიფაროს და, ჩერნობილის ავარიის მსგავსი ავარია რომ მოხდეს, ვინ შეძლებს კატასტროფის კერის ნაწილობრივ მაინც გაუვნებლებას?

სომხეთში და ამიერკავკასიაში სხვა არანაკლებ დამფიქრებელი სიტუაციებიც არსებობს იმისათვის, რომ ერევნის ატომური ელექტროსადგურის ხელახლა გაშვებაზე ხელი ავიღოთ: ესაა მძაფრი სეისმური ზონა, დესტაბილიზაცია, ომი აზერბაიჯანთან... ხომ არ დაგვავიწყდა, ერაყიდან კუვეიტისაკენ გაშვებული რაკეტა საუდის არაბეთში რომ დაეცა? რა გარანტიაა, რომ გამოუცდელი მებრძოლის მიერ გაშვებული რაკეტა ატომურ ელექტროსადგურს არ დაეცემა?

ერთი სიტყვით, ღია წერილი სომეხი მწერლებისადმი შეშფოთებამ დამაწერინა, ამ შეშფოთებას კი, როგორც დაინახეთ, აქვს რეალური საფუძველი.

ესაუბრა

ფელიქს კოჟიაშვილი

დასასრული იქნება

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ულოცავს გაზეთის კორესპონდენტ ფელიქს კოჟიაშვილს ქალიშვილის დაბადებას.

გაზეთი „საქართველო“ და საქართველოს სახალხო ფრონტი ულოცავენ ბია ცერცვაძეს ვაჟიშვილის შეძენას.

ვყიდი

რუსეთის პიანინოს „აკორდი“ ტელ 62—00—67 (4 საათის მერეშაბათ-კვირას დღის განმავლობაში)

ვცვლი

ოროთახიან ბინას თემქის III მიკრორაიონში. დარეკეთ ტელ 34—28—73

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო

თენგიზ გოგოტიშვილი
ვახტანგ კოპაძიძე
ფელიქს კოჟიაშვილი
ჯობა ლიკლიკაძე
მიხო მოსულიშვილი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
თავისუფლების
მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი
მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საბაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
9 მან 50 კაპ.